ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 20 აგვისტო, 2020 №176 (8440) ფასი: 60 თეთრი

„იაკობ ბრეგვაძე ცრუობს“

რა აჩვენა ექსპერიმენტმა არაგვის ხიდთან

გვ.5



მირიან ნიკოლაძე: „დაცვის ექსპერიმენტმა მისი სრული კაპიტულაცია დაადასტურა“

„ვერ ვხედავ პარტიას, რომელიც „ოცნებას“ პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვება“

გვ.3

გიორგი გუგავა: „ასეთი ავაზაკი ოლიგარქის წინააღმდეგ ოპოზიციის კოორდინირება აუცილებელია“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „ვაფრთხილებ ოპოზიციას, ივანიშვილი მალე დაიწყებს საქმეების „დალაგებას“ თქვენთან!“

„ოცნებამ“ კახეთში მოსახლეობის დაშინება დაიწყო

გვ.4

გიორგი ბოტკოველი: „არანაირი ადმინისტრაციული რესურსი „ოცნებას“ აღარ უშველის“

ოკუპირებულმა ცხინვალის რეგიონმა რუსეთში შესვლა კიდევ ერთხელ მოითხოვა

გვ.4

ოსების მტკიცებით, ქართველებს დასახვრეტთა ახალი სია აქვთ

სენაკში ძარცვის ფაქტზე წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი პირი დააკავეს

გვ.5

ISSN 1987-9385

2 გია ხუხაშვილი: „პოლიტიკური ელიტა გადამწიფებული თინეიჯერია“

6 ნორვეგიის საგარეო უწყებამ რუსი დიპლომატი ქვეყნიდან გააძევა

5 „ოჯახის ამდენი წევრი დახოცეს და არავინ დასჯილა?!“ აშშ თორაძეების საქმის გამოძიებაში ჩაერთო

6 ლუკაშენკო: „ბელარუსში სახელმწიფო გადატრიალება დაიწყო“

ალეკო ელისაშვილი: „ოპოზიცია თავშესაქცევ მემორანდუმებსა და დეკლარაციებს იგონებს“

– მაშინ, როცა ყველა ოპოზიციონერი დროს უნდა ხარჯავდეს იმაზე, რომ ხალხის პრობლემებზე ვიფიქროთ, თავშესაქცევ მემორანდუმებსა და დეკლარაციებს იგონებენ. პრობლემა, იცით, რა არის? – ფარატინა ქაღალდის კი არ ეშინია ბიძინა ივანიშვილს, ქმედებისა და ხალხის ძალის ეშინია.

ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ ორი სახის დეკლარაციის გაფორმების შესახებ ოპოზიციური პარტიების გადაწყვეტილების კომენტირებისას განაცხადა.

ალეკო ელისაშვილი ამბობს, რომ „ქართულ ოცნებას“ კოალიციას არ შეუქმნის, თუმცა, ამისთვის დეკლარაციაზე ხელმოწერის საჭიროებას ვერ ხედავს.

კითხვაზე, დეკლარაციაზე ხელმოწერის გარეშე იბრძოლებს თუ არა ასევე იმისთვისაც, რომ ყველა ოპოზიციური პარტიის ხმები დაიცვას, ელისაშვილი აცხადებს, რომ ის ყველა ხმას დაიცავს.

– თუ ვინმეს ოპოზიციაში მართლა რამე უნდა, რაღაც დეკლარაციაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, ხალხის დარაზმვასა და ხალხის პრობლემებზე უნდა ფიქრობდეს. ჩვენ ამ დეკლარაციასა და მემორანდუმებს ხელს არ მოვაწერთ, მაგრამ რეალურად ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებში დამარცხდეს, ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ხმები დავიცვათ, რეალურად ვიბრძოლებთ ასევე იმისთვის, რომ კოალიცია ვერ შექმნას და არ შევუქმნით „ქართულ ოცნებას“.

ჩვენი პოლიტიკური სივრცის პრობლემა არის ის, რომ სიტყვას აღარ აქვს ფასი და ჩვენთვის მემორანდუმებს არ აქვს მნიშვნელობა, იმ ხალხის ხელმოწერილს, რომელთა სიტყვასაც არანაირი ფასი არ აქვს – დღეს ამას ამბობენ და ხვალ იმას ამბობენ.

ჩვენ ჯერჯერობით ჩვენი საჯაროდ ნათქვამი სიტყვისთვის არ გვიღალატია და არ გადაგვიხვევია, ასე ვაპირებთ გაგრძელებას. ჩვენ ვამბობთ სიტყვას, რომ არც ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ შევუკრავთ კოალიციას და ასევე, თითოეული ხმისთვის ვიბრძოლებთ. ოღონდ ამას ჩვენ რეალური ქმედებით განვახორციელებთ.

იმის ნაცვლად, რომ ქვეყანაზე ვდარდობდეთ, რაღაც თავშექცევით არის დაკავებული ოპოზიცია, ამიტომ ასეთ მემორანდუმზე ხელმოწერისთვის დროს არ დავკარგავთ, ხალხზე ვფიქრობთ, თუ ვინმეს აინტერესებს.

ჩვენ ნებისმიერი ოპოზიციური ხმის დაცვისთვის ვიბრძოლებთ ნამდვილად და ყველა ხმის დაცვისთვის ვიბრძოლებთ ზოგადად, ყოველგვარი დეკლარაციების გარეშე, – განაცხადა ელისაშვილმა.

შეგახსენებთ, ლეიბორისტული პარტიის ოფისში გამართულ შეხვედრაზე ოპოზიციამ დეკლარაცია შეიმუშავა, რომლის თანახმად ის ვალდებულებას იღებს, რომ არა მხოლოდ საკუთარი პარტიის, არამედ ერთმანეთის ხმებსაც დაიცავენ.

ოპოზიცია ასევე გეგმავს, გააფორმოს მეორე დეკლარაციაც, რომლის თანახმად, აიღებენ ვალდებულებას, რომ ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ კოალიციას არ შეუკრავენ.

მამუკა მდინარაძე: „სახელმწიფოს ოპოზიციის დესტრუქციისგან საზოგადოების დაცვა დასჭირდება“

– ეს არის ახალი ამბის, ე.წ. ნიუსის შექმნის მცდელობა, თორემ ხმების დაცვა მათ არავისგან არ სჭირდებათ, რეალურად სახელმწიფოს დასჭირდება მათი დესტრუქციისგან საზოგადოების დაცვა.

ამის შესახებ პარლამენტის ვიცესპიკერმა მამუკა მდინარაძემ ოპოზიციის მიერ მიღებულ დეკლარაციასთან დაკავშირებით განაცხადა.

მამუკა მდინარაძის თქმით, სახელისუფლებო გუნდის, მმართველი პარტიის და ქვეყნის ინტერესები დემოკრატიულობასთან და არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებასთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა და პანდემიისგან შექმნილი ვითარების მიუხედავად, მაქსიმალურად მეტი დამკვირვებელი იქნება საპარლამენტო არჩევნებზე, რომ მათ დადონ ობიექტური, მიუკერძოებელი დასკვნა და საკუთარი თვალით ნახონ როგორი ხარისხით, როგორი გამჭვირვალობით ჩატარდება 2020 წლის არჩევნები.

– ეს არის რეალობა, რაც დღეს გვაქვს და არჩევნები ჩატარდება დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით. ჩვენ ვცდილობთ, რომ მიუხედავად ამ პანდემიისა და იმ სიტუაციისა, რაც დღეს მსოფლიოში არის შექმნილი, რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი მოვიწვიოთ და ჩამოვიყვანოთ იმისათვის, რომ მათ დადონ ობიექტური, მიუკერძოებელი დასკვნა და საკუთარი თვალით ნახონ როგორი ხარისხით, როგორი გამჭვირვალობით ჩატარდება 2020 წლის არჩევნები.

ეს შედის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ინტერესებში და ეს შედის ქვეყნის ინტერესებში. და ძალიან კარგია, რომ მე ამაზე თავისუფლად ვსაუბრობ. როდესაც ჩვენი სახელისუფლებო გუნდის, მმართველი პარტიის „ქართული ოცნებისა“ და ქვეყნის ინტერესები დემოკრატიულობასთან და არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებასთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

გია ხუხაშვილი: „პოლიტიკური ელიტა გადამწიფებული თინეიჯერია“



ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (ედი) კვლევებს ექსპერტი გია ხუხაშვილი გამოეხმაურა.

მისი თქმით, ედი-ს მიმართ რევერანსებს გამოხატავენ და ამასთანავე, შეურაცხყოფას აყენებენ და ერთ წინადადებაში ახერხებენ ამას.

ხუხაშვილის განმარტებით, ეს საქართველოს პოლიტიკური ელიტის არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს, რომელიც იმას იჯერებს, რაც აწყობს და ტყუილად რაცხავს იმას, რაც მის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

– ეს არის ჩვენი პოლიტიკური ელიტის უმწიფრობა, არაპროფესიონალიზმი, უტიფრობა, რომელიც ვერ გაიზარდა. გადამწიფებული თინეიჯერია ეს პოლიტიკური ელიტა, რომელსაც, რაც აწყობს იმას იჯერებს და რაც თვითონ არ აწყობს, მის ხედვებს არ შეესაბამება, ეს ყველაფერი მისთვის ტყუილია. ოპოზიციაც ასე აზროვნებს, მარტო ხელისუფლებას არ ეხება ეს. ეს თავისთავად აბსურდია, როდესაც აცხადებ, რომ ნდობას უცხადებ ხელმძღვანელს, მაგრამ არ ენდობი მის თანამშრომელს, ძალიან სასაცილოა, – განაცხადა ექსპერტმა.

იმის თქმა, რომ ედი-ს ვენდობი, მაგრამ არ ვენდობი იმ ადამიანებს, ვინც მისი დაკვეთით კვლევას ატარებენ, არის უხარისხო ვირეშმაკობა, უშინაარსო და უაზრო, – აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

მისივე განმარტებით, საარჩევნო გარემოს გაჯანსაღების პროცესი ორეტაპიანია და საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია არჩევნების ადმინისტრირების პროცესი.

– ძალაუფლების ბოროტად გამოყენება არჩევნების პროცესში სხვადასხვა ფორმით, მოსყიდვით, პროპაგანდით, კონტროლირებადი მედიის საშუალებით, ამომრჩევლისთვის ტვინის გამორეცხვით, ვირტუალური დაპირისპირების პროპაგანდირებით, ბუნებრივია, ძალადობრივი მეთოდია, მით უმეტეს, 21-ე საუკუნეში, როდესაც საინფორმაციო ნაკადები დიდწილად განსაზღვრავენ საზოგადოების განწყობებს.

გარდა ამისა, რა თქმა უნდა, პირდაპირი და ირიბი მოსყიდვები და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ქმნის არაჯანსაღ საარჩევნო ვითარებას.

რა ხდება არჩევნების დღეს, ეს კიდევ ცალკე საკითხია. ეს არ არის მხოლოდ ამ ხელისუფლების პრობლემა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ლაიტმოტივად გასდევს მთელ უახლეს ისტორიას და მასზე არც ერთი ხელისუფალი უარს არ ამბობდა. ალბათ, ამაზეა საუბარი ედი-ს კვლევაშიც, რომ ადმინისტრირების ეტაპი არის არანაკლებ მნიშვნელოვანი ვიდრე საკანონმდებლო ცვლილებები, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

„ეს დისკუსია არდაჭერილი დათვის გატყავებას ჰგავს“

გიგი უგულავა მომავალი პრემიერის შესახებ

– ჩემთვის ცოტა სასაცილოა და არდაჭერილი დათვის გატყავებას ჰგავს დღევანდელი დისკუსია.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რითაც უპასუხა მომავალი მთავრობის პრემიერმინისტრობის შესახებ შეკითხვას.

მისი თქმით, ივანიშვილის ერთპარტიული მმართველობა კოალიციური ტიპის მმართველობით უნდა დასრულდეს.

– ჩვენ, „ევროპული საქართველო“, ვართ ერთგული იმ პოზიციის, რომ ივანიშვილის ერთპარტიული და ერთპიროვნული მმართველობა ევროპული ტიპის კოალიციური მმართველობით უნდა დასრულდეს და ასეც მოხდება იმიტომ, რომ პროპორციული სისტემა, რომლის გამოც ამდენმა ადამიანმა იბრძოლა, ნიშნავს იმას, რომ არც ერთი ხელისუფლება აღარ იქნება ბატონი და იქნება მსახური, – განაცხადა გიგი უგულავამ.

მისივე თქმით, 31 ოქტომბერს არჩევნებში ოპოზიციის უპირატესობა დაფიქსირდება და შემდეგ დაიწყება კოალიციური მოლაპარაკებები.

– ქვეყანაში ისტორიული გზაგასაყარი დგება და მე დარწმუნებული ვარ, რომ 31 ოქტომბერს დაფიქსირდება ჯამურად ოპოზიციის უპირატესობა „ქართულ ოცნებაზე“ და შემდეგ დაიწყება ის კოალიციური მოლაპარაკებები, რომელიც ბუნებრივია, ჩვენი სინამდვილისთვის ახალია. კოალიციური მმართველობა ნიშნავს იმას, რომ არც ერთი ადამიანის ან ჯგუფის ხუშტურზე აღარ ივლის ქვეყანა და, ნაცვლად ბატონისა, გვეყოლება მსახური მთავრობა, – განაცხადა უგულავამ.

ნითელ ხიდზე არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე კვლავ გამკაცრებულია კონტროლის პროცედურები, როგორც საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების, ასევე, საზღვარზე გადაადგილებული საქონლის მიმართ.

ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, კონტროლის ფარგლებში, 17 აგვისტოს, „წითელი ხიდის“ საბაჟო გამშვებ პუნქტზე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის მ.ა.-ს მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომანქანის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული საქონელი, მათ შორის, 33 ცალი სხვადასხვა დასახელებისა და მოდელის მობილური ტელეფონი აღმოაჩინეს.

საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ, ჯამში, 22.849,90 ლარი შეადგინა.

შემოსავლების სამსახურში აცხადებენ, რომ საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

ბოლო ორი თვის მონაცემებით, „წითელი ხიდის“ საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, საზღვარი გადაკვეთა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა 21.000-ზე მეტი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალება, ხოლო საქართველო დატოვა 22.000-ზე მეტმა საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელმა ავტომობილმა.

ახალციხეში „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე მოხსნეს

დაპირისპირებაა „ევროპული საქართველოს“ ახალციხის რაიონულ ორგანიზაციაში – თავმჯდომარეს, გელა დემეტრაძეს, თანაგუნდელებთან ერთად პარტია დაატოვებინეს.

სავარაუდო მიზეზი გელა დემეტრაძის მხრიდან ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატის მხარდაჭერაა. თავად გელა დემეტრაძე ვარაუდობს, რომ პარტიამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ვანო მერაბიშვილთან შეხვედრის შემდეგ, მან სხვა თანაგუნდელებთან ერთად მხარი დაუჭირა ნაციონალური მოძრაობის, სავარაუდოდ, მაჟორიტარობის კანდიდატ ვაჟა ჩიტაშვილს.

– ჩემთვის წარმოუდგენელია, მე ვაჟა ჩიტაშვილის წინააღმდეგ როგორ უნდა ვიმუშაო, – ამბობს თავად დემეტრაძე.

„ევროპულ საქართველოში“ ამბობენ, რომ ორგანიზაციის თავმჯდომარეს თანამდებობიდან არასწორი მმართველობის გამო უშვებენ.

– გავუშვებთ და დარჩება პარტიის მიღმა. ახალციხის რაიონული ორგანიზაცია ვერ მუშაობს ისე, როგორც საჭიროა. ვაჟა ჩიტაშვილი არ არის „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი. „ევროპულ საქართველოს“ მალე თავისი კანდიდატი ეყოლება, რომელსაც წარვადგენთ, – თქვა სამცხე– ჯავახეთში „ევროპული საქართველოს“ კურატორმა ზურაბ ჩილინგარაშვილმა.

მიმდინარე პროცესებს ნაციონალურ მოძრაობაშიც გამოეხმაურნენ და ამბობენ, რომ მათი პარტიის კარი გელა დემეტრაძისა და ყველა იმ ადამიანისთვის ღიაა, ვინც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში წვლილს შეიტანს.

პარტია „ევროპულ საქართველოს“ რეგიონში ახალი თავმჯდომარე ეყოლება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ვაფრთხილებ ოპოზიციას, ივანიშვილი მალე დაიწყებს საქმეების „დალაგებას“ თქვენთან!“

დავით ჭიჭინაძე: „ვაშაძე არ არის „ქართული ოცნების“ პროექტი?! „ევროპული საქართველო“ გახარიას პარლამენტში ფიანდაზებს რომ უგებდა და მის მითიურ სიძლიერეს ამტკიცებდა, არ იწვევს კითხვებს?!“

ნათია ხურცილავა

პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, თქვენ აცხადებთ, რომ ივანიშვილი ოპოზიციასთან მალე დაიწყებს „დალაგებას“. რას გულისხმობთ? არჩევნების შემდეგ რა პროცესები შეიძლება განვითარდეს?

– არჩევნების შემდეგ პოლიტიკურ კრიზისს არ გამოვრიცხავ, რომელსაც აუცილებლად დაემატება ეკონომიკური კრიზისი. ძალიან მძიმე პროცესები შეიძლება განვითარდეს. ამიტომ ნებისმიერი პოლიტიკური ძალა უნდა დაფიქრდეს, ვისთან ერთად შექმნის კოალიციას. არიან ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკაში მხოლოდ მოკლევადიანი პერსპექტივები ამოძრავებთ, რომლებიც მხოლოდ საკუთარ სარგებელზე ფიქრობენ და არა ქვეყნისაზე. შესაბამისად, მე არ გამოვრიცხავ, ეს ხალხი „გარიგებაზე“ წავიდეს, მით უმეტეს, არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც ერთად იყვნენ, დღეს კი დაყოფილები არიან.

– ვის გულისხმობთ?

– იმათ, ვისაც „ქართული ოცნება“ აფინანსებს. ვის საარჩევნო კამპანიასაც აფინანსებს. ეს ადამიანები გარკვეულწილად ვალშიც არიან და ამის პირველ სიმპტომებს ვხედავთ კიდეც. კულუარულ შეთანხმებებს ვგულისხმობ.

– უფრო კონკრეტულად? ვინ შეიძლება წავიდეს „გარიგებაზე“? ოპოზიციამ დეკლარაციას მოაწერა ხელი, რომ კოალიციაში არ შევლენ „ოცნებასთან“.

– დეკლარაციებს არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს. ასეთ დეკლარაციებს მხოლოდ მორალური შეზღუდვა შეუძლია. პოლიტიკოსებს ხელმოწერების გარეშეც უნდა ჰქონდეთ მორალური შეზღუდვა. თუმცა ქართულ პოლიტიკაში, სამწუხაროდ, როცა უნდათ, მაშინ გადათქვამენ თავიანთ სიტყვას, როგორც ეს ივანიშვილმა გააკეთა და, როცა უნდათ, მაშინ გასცემენ ცრუ დაპირებას.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, თუ ვის ვგულისხმობ, რა, ვაშაძე არ არის „ქართული ოცნების“ პროექტი?! „ევროპული საქართველო“ გახარიას პარლამენტში ფიანდაზებს რომ უგებდა და მის მითიურ სიძლიერეს ამტკიცებდა, არ იწვევს კითხვებს?! შეურაცხყოფები, რომლებიც თითქოს იყო, პარლამენტის დარბაზში არავის უკვირს. ამდენად, კონტურები გამოკვეთილია.

კიდევ ერთი: „ქართულმა ოცნებამ“ უკვე გააკეთა განცხადება, რომ პრორუსულ ძალებთან კოალიციას არ შექმნის. ვფიქრობ, პრორუსულ ძალებთან მკაფიო გამიჯვნა ემსახურება იმას, რომ „ქართული ოცნება“ ვერ გარკვეულა, რა სიტუაცია იქნება რუსეთში. ყველგან დაძაბული ვითარებაა და კიდევ უფრო გართულდება მდგომარეობა შემოდგომისთვის. შეიძლება, რუსეთი ვეღარ იყოს საიმედო პარტნიორი, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რასაც ვუყურებთ ბელარუსში. ეს ივანიშვილს აფრთხობს. ის უკვე აანალიზებს, ულირს კი პუტინთან პარტნიორობა?! ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ დასავლეთის, კონკრეტულად კი ამერიკისკენ გაიხედოს ივანიშვილმა და მათზე შეაჩეროს არჩევანი. არც იმას გამოვრიცხავ, ქართულ პროდასავლურ ძალებთან მოინდომოს „კეკლუცი“. ამიტომ ვაფრთხილებ ოპოზიციას, რომ ის მალე დაიწყებს „დალაგებას“ თქვენთან!

– ამის ნიშნებს ხედავთ თუ რაიმე ინფორმაცია გაქვთ?

– მეტი რა ნიშანი უნდა, როდესაც უმრავლესობის წევრი, მოქმედი დეპუტატი, ვიცესპიკერი აცხადებს, არ გამოვრიცხავთ, ვიფიქრებთ კოალიციაზეაო.

– ვის გულისხმობთ?

– ვოლსკის. პრაქტიკულად, ეს ნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებაში“ ეს საუბრები მიმდინარეობს. ის ომახიანი განცხადებები, რომ მარტო შექმნიან მთავრობას, რომ დიდ გამარჯვებას მოიპოვებენ, მშვენივრად იციან, რომ ბლეფია. ისიც მშვენივრად იციან, რომ არჩევნების გაყალბების უფლებას მათ არავინ მისცემს.

– ბატონო დავით, როგორც ამბობენ, შეიძლება, კოალიციის შექმნა მართლაც გართულდეს და ვადამდელი არჩევნები დადგეს დღის წესრიგში, რომელსაც ე.წ. ტექნიკური მთავრობა ჩაატარებს უკვე სრულად პროპორციულად. რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს ვერსია?

– თავის დროზე განვაცხადე, რომ ტექნიკური მთავრობის შექმნა შეიძლება გახდეს საჭირო მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების ჩასატარებლად, რომ ამ ქვეყანაში ერთხელ და საბოლოოდ მართლა ჩატარდეს თავისუფალი, თანაბარ პირობებში დემოკრატიული არჩევნები. ტექნიკურ მთავრობაში კი უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა ძალა თანაბრად, რასაკვირველია, ის პარტიები, რომლებიც არჩევნებში ბარიერს გადალახავენ. რა თქმა უნდა, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იყოს „ქართული ოცნებაც“, რომ არავის ჰქონდეს დაჩაგრულის სტატუსი. ეს შეიძლება იყოს ერთადერთი გზა იმ კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლელად, რომელიც, შეიძლება, შემოდგომაზე შეიქმნას. არაფერია გამორიცხული.

– შეიძლება, „ოცნებამ“ არჩევნები ვერ მოიგოს?

– რა თქმა უნდა! მეტიც, „ოცნებამ“ 50% რომ გადალახოს, ეს იქნება არარეალური. ეს იქნება ის აბსურდი, რომელიც ამ ქვეყანაში ვერ მოხდება! ამას უნდა შეეგუონ. დღეს საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელსაც ხალხის მკაფიო მხარდაჭერა აქვს. ამიტომ, თუ ამას ვინმე მოინდომებს, ძალიან მწვავედ დადგება არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხი. არც ერთი მხარე არ აღიარებს მეორის გამარჯვებას.

„ქართულმა ოცნებამ“ თუ მოინდომა და არჩევნებზე არარსებული რიცხვები დაწერა, ეს პოლიტიკური ავანსცენიდან მისი გაქრობა იქნება“

„ქართულმა ოცნებამ“ თუ მოინდომა არარსებული რიცხვების დაწერა, ეს იქნება პოლიტიკური ავანსცენიდან მისი გაქრობა, ისევე, როგორც თავის დროზე – „მოქალაქეთა კავშირის“. ბელარუსში განვითარებული მოვლენები ამის ნათელი მაგალითია.

„ვერ ვხედავ პარტიას, რომელიც „ოცნებას“ პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვება“

გიორგი გუგავა: „ასეთი ავაზაკი ოლიგარქის წინააღმდეგ ოპოზიციის კოორდინირება აუცილებელია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ გიორგი გუგავა პასუხობს.

– ბატონო გიორგი, დარჩენილი ორი მაჟორიტარული ოლქიც შეივსო თბილისში, თუმცა სრული მხარდაჭერა მაინც არ ჰქონდა ირაკლი ოქრუაშვილს. ნაციონალებმა კანდიდატი არ დაუყენეს, მაგრამ მხარიც არ დაუჭირეს. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– მნიშვნელოვანი და ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღო ოპოზიციამ. ეს უპრეცედენტოა თავისი ბუნებითა და ხასიათით, როდესაც ერთმანეთის კონკურენტებმა, განსხვავებული იდეოლოგიის, განსხვავებული წარსულის პარტიებმა, საერთო ეროვნული ამოცანებიდან გამომდინარე, შეძლეს, რომ ერთმანეთთან კოორდინირებულად არიან და ამ კოორდინაციამ და ერთობამ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. ცვლილებები განხორციელდა კონსტიტუციაში, თითქმის პროპორციული არჩევნები მივიღეთ, პოლიტპატიმრები გავათავისუფლებინეთ და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერაც მივიღეთ. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებას დავამარცხებთ.

– რამდენად არის ხელისუფლების დამარცხების შანსი, როდესაც მეორე მხარეს სერიოზული ადმინისტრაციული რესურსი და ივანიშვილის ფინანსებია? ამას რას დაუპირისპირებს ოპოზიცია?

– გეთანხმებით, მეორე მხარეს სერიოზული ადმინისტრაციული რესურსი, ფინანსური რესურსია, რომელსაც ისინი მოსყიდვისათვის უკანონოდ იყენებენ. ოპოზიციამ ერთმანეთის ხმების დაცვის მექანიზმებიც შეიმუშავა, ამაზეც შევთანხმდით, რომ ჩვენ ერთიანი ფრონტით უნდა დავუპირისპირდეთ. როდესაც ასეთ გამოცდილ, ავაზაკ და გადამგდებ პუტინისტურ ოლიგარქთან გაქვს საქმე, ოპოზიციის კოორდინირება საჭიროა და ეს შეძლო ოპოზიციამ. ოპოზიციამ ძალიან მაღალი პოლიტიკური კლასი აჩვენა.

– დიდი ამბავია საბურთალოს ოლქში. ძალიან ბევრი ცნობილი კანდიდატი უპირისპირდება ერთმანეთს. ერთმანეთს ხომ არ დააკარგვინებს ხმებს ოპოზიცია?

– მე ვფიქრობ, მაინც ყველაზე დიდი შანსი აქვს იმ კანდიდატს, რომელსაც საერთო ოპოზიციური მხარდაჭერა გააჩნია და ეს არის ირაკლი ოქრუაშვილი.

– სერგეენკოსა და ოქრუაშვილს თითქმის თანაბარი მხარდაჭერა აქვთ გამოკითხვების მიხედვით, თუმცა ხელისუფლება ყოველთვის უპირატესობით სარგებლობს.

– თუ სწორი საარჩევნო კამპანია იქნება ჩატარებული, საბურთალოზე არის დიდი შანსი პირველივე ტურში გამარჯვების საერთო ოპოზიციური კანდიდატის მხრიდან.

– როგორ უნდა დაიცვას ოპოზიციამ ხმები, რა დეკლარაციას მოაწერეთ ხელი?

– ამაზე შეთანხმება შედგა და დეკლარაციაზე ხელმოწერა მომავალ ორშაბათს შედგება. პრინციპები შეთანხმებულია. გაიხსნება ცხელი ხაზი, სადაც თავს მოიყრის ყველა ინფორმაცია დარღვევის შესახებ, მოხდება ინფორმაციების გაცვლა ერთმანეთის შტაბებს შორის, ადგილობრივ შტაბებს შორის. ოპოზიციის წარმომადგენლები მხარს დაუჭერენ ერთმანეთს, როდესაც აღმოაჩენენ დარღვევას უბანზე. საჩივრის დაწერისას მხარს დავუჭერთ ერთმანეთს და ასე შემდეგ. ჩვენი მხრიდან ყველა რესურსი და მექანიზმი გამოყენებული იქნება, რომ დავიცვათ ერთმანეთის ხმები.

– ოპოზიციის შეხვედრაზე, სადაც დასახელდა ორი კანდიდატი, არ ყოფილან გიორგი ვაშაძე და თაკო ჩარკვიანი. სერიოზულად გაგინაწყენდნენ, რადგან ჩარკვიანის კანდიდატურას არ დაუჭირეთ მხარი?

– თვითონ გიორგი ვაშაძე არ იყო, თუმცა მისი პარტიის წარმომადგენელი ესწრებოდა ამ შეხვედრას.

– რამდენად დაზღვეული ხართ, რომ პარლამენტში შესული ოპოზიცია იქნება ერთიანი და ხელისუფლების წინააღმდეგ შექმნის კოალიციას?

– რა თქმა უნდა, ეს არის წინაპირობა იმისა, რომ ოლიგარქი უნდა დამარცხდეს და ჩამოყალიბდეს კოალიციური მთავრობა, რომელიც ქვეყანას ამოიყვანს ამ ჭაობიდან და გადაიყვანს განვითარების ახალ ეტაპზე.

– ივანიშვილთან რომ შექმნას ოპოზიციამ კოალიცია? არიან ოპოზიციაში პარტიები, რომლებიც ივანიშვილისკენ გადაიხრებიან?

– მე არა მაქვს დღეს იმის განცდა, რომ ვინმეს სურვილი იყოს, ივანიშვილს ჩაუგორდეს და მასთან ერთად დაიმარხოს თავი. ლეიბორისტული პარტიის ფორმატში ოპოზიციური პარტიები ვმუშაობთ იმაზე, რომ შემუშავებულ იქნეს საერთო დეკლარაცია, საერთო განაცხადი და ჩვენ ვაჩვენებთ საზოგადოებას, რომ არ ვაპირებთ ივანიშვილისთვის კოალიციის შექმნას.

გულში ვის რა უდევს, ამის გამოცნობა შეუძლებელია. სისტემა უნდა აეწყოს ისე, რომ პარტია პასუხისმგებელი იყოს ამომრჩევლის წინაშე და მთავარ აქტორად ამ პოლიტიკურ სისტემაში იქცევა თავად ამომრჩეველი. თუ ისეთ ქმედებას ჩაიდენს ესა თუ ის პარტია, რომელიც მიუღებელი იქნება მისი ამომრჩევლისთვის, ის დაკარგავს ამომრჩეველს, გაკოტრდება და გამოვა ბიძინას ერთჯერადი მოხმარების საგანი.

– „ევროპულ საქართველოს“ აქვს ცოტა სხვაგვარი შეხედულებები და არის ეჭვი, რომ ის განზე გადგება, როდესაც პარლამენტში შეხვალთ.

– ვინ, „ევროპული საქართველო“?!

– არ გაქვთ ეს განცდა?

– რატომ უნდა გვქონდეს, როდესაც მათ საჯაროდ აქვთ გაცხადებული თავიანთი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი არც ერთ შემთხვევაში კოალიციას არ შეუქმნიან ხელისუფლებას.

– ხელისუფლებისგან უკვე კეთდება მინიშნებები, რომელ პარტიასთან არის შესაძლებელი კოალიციის შექმნა და ერთ-ერთ პარტიად „ევროპული საქართველო“ დასახელდა.

– მათ შეიძლება ბევრი რამის სურვილი ჰქონდეთ, მაგრამ რეალობაში ეს ვერ განხორციელდეს.

– რამდენად გაუძლებენ ივანიშვილის ფულის ცდუნებას პარტიები?

– ვინც ვერ გაუძლებს, ეს იქნება მათი საბოლოო დასამარება და განაჩენი. ისინი ჩაჰყვებიან ხელისუფლებას პოლიტიკურ საფლავში! იმდენად მაღალია ოპოზიციის პასუხისმგებლობა და იმდენად რეალურად აფასებენ შექმნილ სიტუაციას, რომ არა მგონია, ამ შეთავაზებებზე ოლიგარქს ვინმე დასთანხმდეს.

ოკუპირებულ აფხაზეთში კორონავირუსის 19 ახალი შემთხვევა გამოვლინდა



ოკუპირებულ აფხაზეთში გასული დღე-ღამის განმავლობაში კორონავირუსზე ტესტი 163 ადამიანს ჩაუტარდა და მათგან ვირუსი 19 ადამიანს დაუდასტურდა. ინფორმაციას ადგილობრივი მედია ე.წ. ოპერატიულ შტაბზე დაყრდნობით ავრცელებს.

19 აგვისტოს მონაცემებით, გუდაუთის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში კორონავირუსით ინფიცირებული 22 პაციენტი მკურნალობს.

დე ფაქტო რეჟიმის ბოლო მონაცემებით, აფხაზეთში ამ დრომდე კორონავირუსი სულ 221 ადამიანს გამოუვლინდა. მათგან 80 ადამიანი განიკურნა, სამი შემთხვევა კი ლეტალურად დასრულდა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ოცნებამ“ კახეთში მოსახლეობის დაშინება დაიწყო

გიორგი ბოტკოველი: „არანაირი ადმინისტრაციული რესურსი „ოცნებას“ აღარ უშველის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის წევრი გიორგი ბოტკოველი პასუხობს.

– ბატონო გიორგი, წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაწყებულია. რა ხდება კახეთში, სადაც თქვენც ხართ მაჟორიტარობის კანდიდატი? ვრცელდება ინფორმაციები, რომ ხელისუფლება რეგიონებში უფრო თამამად მიდის შანტაჟსა და დაშინებაზე. ასეა?

– პრობლემა ძალიან ბევრია და იგივეა კახეთის რეგიონშიც. რაც შეეხება ხელისუფლების ქმედებებს, რა თქმა უნდა, ისინი მხოლოდ იმ პროექტებითა და საქმიანობით არიან დაკავებული, რაც მათ კონკრეტულ საარჩევნო კამპანიას წაადგება. მართავენ შეხვედრებს და სრულად ახდენენ ადმინისტრაციული რესურსის მობილიზებას. ფაქტობრივად, ყოველდღიურად იკრიბებიან. შექმნეს არაფორმალური შტაბები, სადაც ყველა ადმინისტრაციული რესურსის წარმომადგენელი ჰყავთ.

– გაქვთ ამის კონკრეტული მაგალითები?

– რა თქმა უნდა, ერთ-ერთ სოფელში ბაღის მასწავლებლები, სკოლის მასწავლებლები, თუ ვინმე სადმე დასაქმებულია, სხედან ერთ დარბაზში, ამოწმებენ ფოტოსურათიან სივებს და ინაწილებენ, ვისი დაშინება როგორ შეუძლიათ, ვის ვინ უნდა მიუგზავნონ, ვისი ახლობელი სად მუშაობს და ასე შემდეგ.

– იმის თქმა გინდათ, რომ სრულად მიმდინარეობს ადმინისტრაციული რესურსის ჩართვა და მოსყიდვა-დაშინება?

– რა თქმა უნდა! სხვანაირად მათ მხარდაჭერა არ აქვთ. იმ ადმინისტრაციულ რესურსშიც ძალიან ბევრი ისეთი ადამიანია, რომლებსაც ძალით უწევთ მხარდაჭერა, რადგან სამსახურის დაკარგვის ეშინიათ, თუმცა ხელისუფლებას ვეტყვი, რომ ეს მათ არ უშველით.

– რამდენად მყარი პოზიციები აქვს ოპოზიციას?

– ამას აუცილებლად არჩევნები გვაჩვენებს. წინა არჩევნებმაც ხომ გვაჩვენა, რა შედეგები აქვს ოპოზიციას. ამ არჩევნებზე კი ოპოზიცია უფრო გაუმჯობესებულ შედეგებს აჩვენებს. არანაირი ქმედებები, სადღაც ძალით ტარება და ადმინისტრაციული რესურსი „ოცნებას“ არ უშველის. ეს მათ შედეგს არ მისცემს.

– არც დაზარალებულ მოსახლეობას ეხმარებიან სათანადოდო. მართლა ასეა?

– ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში არაერთი სტიქია მოხდა კახეთში. განსაკუთრებით დამაზიანებელი იყო თელავსა და ყვარელში მომხდარი სტიქია 15 ივლისს, სადაც ადამიანებს, ფაქტობრივად, სრულად გაუნადგურდათ მოსავალი. შეიძლება ითქვას, რომ არის სოფლები, სადაც რთველი საერთოდ აღარც კი იქნება, იმიტომ რომ არაფერი აღარ აქვს შერჩენილი ვენახებს. თუმცა ყურადაც არ უღია ხელისუფლებას, არც ჩასულა და ეს დაზიანებული ნაკვეთები არც უნახავს. ჩვენ შევპირდით მოსახლეობას, რომ დავითვლიდით ამ ზიანს, რამდენიმე კვირის განმავლობაში ვიარეთ ყველა ამ ნაკვეთში, დავითვალეთ ზიანი, მასშტაბი, შევადგინეთ დოკუმენტები და წარვუდგინეთ ხელისუფლებას. ხელისუფლება ვალდებულია, ელემენტარულად მაინც დაეხმაროს იმ ხალხს, რომელსაც სხვა შემოსავალი არ გააჩნია.

– არის მზაობა ხელისუფლების მხრიდან, რომ დაზარალებულ მოსახლეობას დაეხმაროს, გაქვთ ამის იმედი?

– ჩვენ მათი იმედი ნამდვილად არ გვაქვს, თუმცა, გვაქვს იმედი, რომ გავიმარჯვებთ და 31 ოქტომბრის შემდეგ აუცილებლად ავუნაზღაურებთ ზარალს ამ ხალხს.

– თავადვე ამბობთ, რომ შანტაჟი და დაშინება მიმდინარეობს, ჩართულია ადმინისტრაციული რესურსი. რა შანსები აქვს ოპოზიციას და რის იმედი გაქვთ?

– მთავარი შანსები აქვს ხალხს, რომ ივანიშვილს ხელისუფლება ხელიდან გამოგლიჯოს, გამოგლიჯოს ამ მავნებლებს და ხალხმა დაიბრუნოს. ის, რაც ხალხს უნდა ხმარდებოდეს, მთლიანად ჩინოვნიკების ჯიბეებში მიდის. დარწმუნებული ვარ, ხალხი ამ შანსს გამოიყენებს და „არას“ ეტყვის ამ ხელისუფლებას.

ოკუპირებულმა ცხინვალის რეგიონმა რუსეთში შესვლა კიდევ ერთხელ მოითხოვა

ოსების მტკიცებით, ქართველებს დასახვრეტთა ახალი სია აქვთ

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთს, რომელმაც მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და იმავდროულად ცნო მათი „დამოუკიდებლობა“, ბოლო ხანს საკუთარი სახელმწიფო და რუსული გავლენები ეშლება. მიუხედავად, ამისა, მოსკოვი საქართველოს ოკუპირებული მიწებისთვის ჯერ კიდევ იცლის.

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი ზედმიწევნით ასრულებს და ავრცობს პუტინის მიერ შარშან 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ გაკეთებულ განცხადებებს. კრემლის ლიდერმა მაშინ საქართველო აგრესორად და ოსებისა და აფხაზების მიმართ გენოციდის მომწყობად შერაცხა.

გენოციდის თემა ცხინვალში ერთ-ერთი მთავარია. ოსების მტკიცებით, ქართველები ოსებს სისტემატურად ანადგურებდნენ, გენოციდის კულმინაცია კი 1920 წელს იყო. რუსეთის სახელმწიფო დუმა ამის აღიარებისაგან ჯერჯერობით თავს იკავებს, დუმის შესაბამისი კომისია კი მუშაობას აგრძელებს.

ცხინვალის რეჟიმი და მისი გარემოცვა, მათ შორის მეცნიერები, ახმოვანებენ ახალ გზავნილებს რუსეთთან მიერთების თაობაზე.

ეს ერთი მონოგრაფიის პრეზენტაციაზეც მოხდა. ოსების ინტეგრაციული პროცესებისადმი მიძღვნილი 3-ტომეული ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატ კოსტა ძუგაევს ეკუთვნის.

ღონისძიებას დაესწრნენ საოკუპაციო ხელისუფლების ოფიციალური პირები და ცხინვალში რუსეთის ე.წ. საელჩოს წარმომადგენლები.

მონოგრაფია ყველამ მოიწონა. შეკრებილებმა ერთსულოვნად დაასკვნეს, რომ ქართველები ოსების ახალ გენოციდს გეგმავენ, ამისაგან თავის დაცვა კი რესპუბლიკის რუსეთთან მიერთებაშია.

მონოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა 1937-38 წლების რეპრესიებს. შეკრებილების მტკიცებით, ავტორმა აქამდე უცნობი საარქივო დოკუმენტები გამოაქვეყნა.

გასაკვირი არ არის, რომ მაშინდელ საყოველთაო რეპრესიებსა და სადამსჯელო ოპერაციებს ოსი ეროვნების ადამიანებიც ემსხვერპლნენ.

ცხინვალში რატომღაც დარწმუნებით აცხადებენ, რომ ეს მოხდა „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის გამო.

– 1937-38 წლების რეპრესიები სამხრეთელი ოსებისათვის ტრაგედიად იქცა სწორედ იმ მიზეზით, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოში იყო, – აღნიშნავს ძუგაევი.

ძუგაევი ირწმუნება, რომ თუ ოსები არ გაითავისებენ ისტორიის მკაცრ გაკვეთილს, საქართველოს სახელმწიფოს გენოციდის პოლიტიკა ოსების მიმართ გარდაუვალია.

– უსაფრთხოების ერთადერთი გარანტი არის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა. ეს სამუდამოდ მოხსნის საფრთხეს ქართული სახელმწიფოსაგან. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიდის ძირგამომთხრელი მუშაობა რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის“ ლოზუნგის საფარის ქვეშ, – აცხადებს ავტორი.

ძუგაევი ამბობს, რომ რესპუბლიკაში არავის ეპარება ეჭვი ქართველებში დასახვრეტი ოსების ახალი სიის არსებობაზე:

– ახალი სიები გამზადებულია და ქართული სპეცსამსახურები მათ ავსებენ. სააკაშვილის რეჟიმის დროს ასეთი სია ქართულ მედიაში დაიბეჭდა.

საოკუპაციო ადმინისტრაციის ე.წ. საგარეო მინისტრი დიმიტრი მედოევი ამბობს, რომ 1937 წლის მოვლენები არის ქართველების გენოციდის პოლიტიკის გაგრძელება ოსების მიმართ. წელს გენოციდის სამგლოვიარო 100 წლისთავია. ქართველებმა ფაშიზმი 90-იან წლებშიც გამოავლინეს.

რუსეთთან მიერთების აუცილებლობა ყველამ დააფიქსირა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების რუსეთის ფედერაციაში შესვლის საშუალებებზე რუსეთშიც მსჯელობენ.

ორიოდე თვის წინ აფხაზეთში დიდი პროტესტი მოჰყვა მოსკოვში გამოთქმულ ერთ ინიციატივას. პარტია „სიმართლისათვის“ მოითხოვს, რუსეთის კონსტიტუციაში შევიდეს დამატება, რომლის საფუძველზეც რუსეთს მიუერთდება სხვადასხვა ტერიტორია. ამას წინ უნდა უძღოდეს რეფერენდუმი ამ ტერიტორიებზე.

რამდენი პროექტი გადაავადა მერიამ კორონავირუსის გამო

თბილისის მერ კახა კალაძის განცხადებით, გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტები თბილისში, რომელთა დაწყებაც დაგეგმილი იყო, ამ ეტაპზე ვერ განხორციელდება, მათ შორის, წერეთლის გამზირის, ქეთევან წამებულის, ვაჟა-ფშაველას, ვეფხი და მოყმის მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაცია. კალაძემ თავის მოადგილე ირაკლი ხმალაძეს დაავალა, რომ შემოსავლების შესავსებად საპრივატიზაციო ნუსხა გაზარდოს.

კალაძემ 2021 წლის ბიუჯეტის წინასწარ პარამეტრებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ დახმარებების გაცემის კუთხით ის ვერ იქნება ისეთი, როგორიც 2020 წლის ბიუჯეტი იყო.

– მნიშვნელოვანი გარემოება არის ის, რომ 2021 წლის ბიუჯეტის წინასწარი პარამეტრები არსებითად განსხვავდება 2020 წლის ბიუჯეტის წინასწარი ფაქტობრივი პარამეტრებისგან. არსებული პანდემიიდან გამომდინარე, გარკვეული პრობლემები შეიქმნა როგორც ქვეყანაში, ასევე, მთელ მსოფლიოში ზოგადად, სერიოზული პრობლემა არის ეკონომიკური მიმართულებით და გულდასაწყვეტია ის, რომ შეიძლება მომდევნო წლის ბიუჯეტი ტრანსფერებითაც, დახმარებებითაც ვერ იყოს ისეთი, როგორც მაგალითად, 2020 წლის ბიუჯეტი.

მინდა, ასევე, ჩვენს ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით მიგაწოდოთ ინფორმაცია. იცით, რომ საკმაოდ ამბიციური გეგმები გვქონდა 2020 წელს პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, თუმცა, სამწუხაროდ, პანდემიის გამო, გარკვეულ პროექტებს ჯერ ვერ ვიწყებთ. ასეთი პროექტებია მაგალითად, წერეთლის გამზირი, რომლის სრული რეაბილიტაცია გვქონდა დაგეგმილი, ასევე ქეთევან წამებული, იქაც იგივე მიდგომები და დამოკიდებულება გვქონდა, ასევე ვაჟა– ფშაველა, ბაგებიდან საბურთალოს მიმართულებით გადამსვლელი ხიდის პროექტის განხორციელება, ასევე ვეფხი და მოყმის მიმდებარე ტერიტორიის მთლიანად განახლება და მოწესრიგება. ეს პროექტები, რომელიც უკვე უნდა დაგვეწყო და განხორციელება მომხდარიყო, ამ ეტაპზე არსებული რეალობიდან გამომდინარე, ვერ ვიწყებთ, თუმცა ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ წლის ბოლოს, მომავალი წლის დასაწყისში შესაძლებელი იქნება ამ პროექტების განხორციელება. ანუ ყველა იმ პროექტს, რომელსაც დღეს ვერ ვიწყებთ, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ განხორციელდება, უბრალოდ, დროში გადაიწევს.

მინდა ასევე, ვიცემერს ირაკლი ხმალაძეს დავავალო, რომ რაც შეიძლება მოვიძიოთ კიდევ, შეიძლება, ეს იყოს მიწები თუ შენობა-ნაგებობები იმისთვის, რომ მოხდეს გაყიდვა, თანხების შემოსვლა, რადგან შემოსავლების ნაწილშიც სერიოზული კლება და პრობლემები გვაქვს. მესმის, რომ ბევრი რამ დახურულია არსებული ვითარებიდან გამომდინარე და ჯერ კიდევ არ არის ეკონომიკური აქტივობები, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ბიუჯეტისთვის. შესაბამისად, მოიძიეთ ყველაფერი იმისთვის, რომ გავზარდოთ შემოსავლები, ჩავრთოთ ბიზნესსექტორი და, რაც გვაქვს შესაძლებლობა, საპრივატიზაციო ნუსხა კიდევ უფრო გავზარდოთ, რომ გვქონდეს მეტი შემოსავალი. ამით შევძლებთ მეტი პროექტის განხორციელებას, მეტი ადამიანის დახმარებას, – განაცხადა კახა კალაძემ.

საქართველოში უმუშევრობა გაიზარდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2020 წლის II კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.9 პროცენტით გაიზარდა და 12.3 პროცენტი შეადგინა.

საქსტატის ცნობით, 2020 წლის II კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 63.7 პროცენტი შეადგინა. აქტიურობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით როგორც ქალაქის, ისე სოფლის ტიპის დასახლებებში უცვლელი დარჩა.

დასაქმების დონე ქვეყნის მასშტაბით შემცირებულია 0.5 პროცენტული პუნქტით, ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.3 პროცენტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 0.2 პროცენტით

ამასთან, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 48.6 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.6 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

უმუშევრობის დონე სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახლებებთან შედარებით, გაცილებით დაბალია. 2020 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში გაზრდილია 2.3 პროცენტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში შემცირებულია 0.3 პროცენტით.

უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2020 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია როგორც ქალებში ისე კაცებში, შესაბამისად 1.8 და 0.1 პროცენტით.

აქტიურობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2020 წლის II კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 54.8 პროცენტს, ხოლო კაცებში 74.1 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აქტიურობის დონე ქალებში შემცირებულია 0.4 პროცენტით, ხოლო კაცებში გაზრდილია 0.6 პროცენტით.

2020 წლის II კვარტალში დასაქმების დონე ქალებში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.4 პროცენტით არის შემცირებული, ხოლო კაცებში 0.4 პროცენტით არის გაზრდილი.

„იაკობ ბრეგვაძე ცრუობს“

რა აჩვენა ექსპერიმენტმა არაგვის ხიდთან

მცხეთაში, არაგვის ხიდთან გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე ბრალდებული მორაგბის, არჩილ გაგნიძისა და ვახტანგ ჩიქოვანის ადვოკატებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს.

ექსპერიმენტის მონაწილეებმა გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმის პროკურატურის მიერ გავრცელებული ვერსიის ეპიზოდები გაითამაშეს, სულ 5 ეპიზოდი, ხოლო ექსპერიმენტის მეექვსე ნაწილი, ადვოკატების განმარტებით, ხილვადობის არარსებობის გამო შეწყდა.

დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებებში ადვოკატების გარდა მონაწილეობა მიიღო რამდენიმე პირმა, რომლებიც, ადვოკატების განცხადებით, ექსპერიმენტში საკუთარი სურვილით ჩაერთნენ და საქმის ფიგურანტები არ არიან.

როგორც არჩილ გაგნიძის ადვოკატმა ვასილ მამულაშვილმა განაცხადა, ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები აბსურდულს გახდის მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ წარდგენილ ბრალდებას და ბრალდების მხარე თავად შეწყვეტს სისხლის სამართლის საქმეს.

– უპირველესად, ჩვენ ჩავატარეთ იაკობ ბრეგვაძის მიერ 20 ივნისით მოწოდებული ინფორმაციის შემოწმება, სადაც იგი მიუთითებს, რომ მან დაინახა „ტოიოტა ქამრით“ მოსული სამი პიროვნება, რომელიც 10 წუთის განმავლობაში ფიზიკურად უსწორდებოდა ამ ადამიანებს. ინსცენირება მოვახდინეთ და აღვადგინეთ ეს რეალურ დროში, გამოვიყენეთ ის ვიდეოჩანაწერი, რომლებიც საქმეშია განთავსებული და დადასტურდა, რომ ბრეგვაძის მიერ გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაცია არის ცრუ, შესაბამისად, მის მიერ მომავალში მოწოდებული ინფორმაციაც იქნება დაუშვებელი მტკიცებულება.

ასევე ჩავატარეთ ექსპერიმენტი იმ შესაძლო ჩვენებასთან დაკავშირებით, რომელსაც არჩილ გაგნიძის ადვოკატები არ ვიცნობთ. ეს არის 2 აგვისტოს ჩვენება, სადაც იქ თითქოს მიუთითებს, რომ ხიდის დაახლოებით 60-70%-ით გავლის შემდეგ მან დაინახა ორი პიროვნება, რომელიც მტკიცებით ფორმაში აღნიშნა, რომ არ არიან ის პირები, რომლებიც მასთან ერთად იმყოფებოდნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით ორი ცდა ჩავატარეთ და დადასტურდა, რომ შეუძლებელია, ბუნებრივი განათების პირობებში რაიმე დაენახა, არა პიროვნებები, არამედ სილუეტებიც კი. კიდევ ერთი ექსპერიმენტი ჩატარდა, რამდენად ექნებოდათ მდევრებს შესაძლებლობა დაენახათ 30-50 მეტრის დაშორებით ამირხანაშვილი, ახვლედიანი და შაქარაშვილი და ამით დადასტურდა, რომ თუ 30-50 მეტრის და ასევე, 100 მეტრის დაშორება იქნებოდა, მდევრებს თავისუფლად შეეძლებოდათ ამ პირების დანახვა.

ბოლო ექსპერიმენტი გვქონდა დაგეგმილი ხიდის ქვეშ იმ რთული რელიეფზე პირების გადაადგილებისა, თუმცა ამ ექსპერიმენტის ჩატარება ობიექტური მიზეზებით ვერ განხორციელდა, დავიცავით მონაწილე პირების ჯანმრთელობა და ეს ექსპერიმენტი შეწყდა ხილვადობის არარსებობის გამო, – განაცხადა მამულაშვილმა.

ვახტანგ ჩიქოვანის ადვოკატ თეიმურაზ მაისურაძის განცხადებით, მცხეთაში, არაგვის ხიდთან ჩატარებულმა პირველმა ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ფოტოგრაფ იაკობ ბრეგვაძის ჩვენებები ტყუილია.

როგორც ადვოკატმა ჟურნალისტებს განუცხადა, მეორე ექსპერიმენტით დგინდება, რომ თუ გიორგი შაქარაშვილს, გურამ ამირხანაშვილსა და ვახტანგ ახვლედიანს ბრალდებულები ახლო მანძილით მისდევდნენ, ისინი მხოლოდ ახვლედიანსა და ამირხანაშვილს დაინახავდნენ.

– თუ მართლა ახლო მანძილში მისდევდნენ ამ სამ პიროვნებას, მაშინ მდევარი ადვილად დაინახავდა, ვინ სად დაიმალა, ვერ დაინახავდნენ შაქარაშვილს, საით გაიქცა. დაინახავდნენ ახვლედიანს და ამირხანაშვილს. არ გაეკიდებოდნენ იმას, ვისაც ვერ ხედავდნენ. ადვილად მიაგნებდნენ როგორც ამირხანაშვილს, ისე ახვლედიანს.

კიდევ ერთი ექსპერიმენტი ხილვადობის არქონის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია. არაგვის ხიდის ქვეშ არაფერი არ ჩანს. თუ შაქარაშვილი იქ ჩავიდოდა, ის აუცილებლად დაგორდებოდა, დაუზიანდებოდა პერანგი, ხელები, თავი, რასაც არც ერთი ექსპერტიზა არ ადასტურებს. შაქარაშვილი მდინარის პირას ვერ მივიდოდა. გამაოგნებელია ეს დრამატურგია გამოძიების, რომ წყალში უნდა შეხვიდე, რომ ჩანთა დადო ჯებირზე. გამოდის, რომ შაქარაშვილი წყალში შევიდა და ჯებირზე, მაღლა დადო ჩანთა?

იცოდნენ, რომ ეს არაა ამომწურავი ექსპერიმენტი, სულ მალე გვექნება სიურპრიზი ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად, – განაცხადა მაისურაძემ.

მირიან ნიკოლაძე: „დაცვის ექსპერიმენტმა მისი სრული კაპიტულაცია დაადასტურა“

გიორგი შაქარაშვილის საქმეში ბრალდებულთა ადვოკატების მიერ ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტს გიორგი შაქარაშვილის ბიძა მირიან ნიკოლაძე ფეისბუქში ასე გამოეხმაურა:

„დღემდე არც ერთხელ არ მიმიცია შეფასება დაცვის მხარის პოზიციებისთვის, რადგან ვთვლი, რომ მიუხედავად ჩემი მდგომარეობისა, უნდა ვაჯობო საკუთარ თავს და დავიცვა პროფესიულ-ეთიკური გარემოებები (რომელიც დღევანდელი ამპლუიდან გამომდინარე, არ მევალება).

თუმცა, იმედია, კითხვის დასმას ვერავინ ამიკრძალავს.

1. როგორც მე მივხვდი, გამოძიების მიერ მოწმე ი.ბრეგვაძესთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტით დადგინდა, რომ იგი მშენებარე შენობის აივნიდან ხედავდა, როგორც „ტოიოტას“ ადგილზე მისვლის, ასევე მასში მსხდომი პირების გამოდევნების გარკვეულ არეალს და არა სახეებს ან სხვა დეტალურ გარემოებებს (წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა ჩატარებულიყო სავალდებულო საგამოძიებო მოქმედება-ამოცნობაც).

რა დადასტურდა დაცვის მხარის საგამოძიებო ექსპერიმენტით? ნათლად გამოჩნდა და უპირობოდ დადასტურდა, რომ ი.ბრეგვაძეს შეეძლო, უპრობლემოდ დაენახა სწორედ ის, რაც მის ჩვენებაში აისახა ანუ მანქანიდან გადმოსული მგზავრების რაოდენობა, მოძრაობის ტრაექტორია და არა გარეგნობა, ჩაცმულობა და სხვა.

თუ ასე არაა და მხედველობა მატყუებს, შემისწორეთ.

2. არსებობს ორი უტყუარად დადასტურებული გარემოება (ერთი – ოჯახის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი, მეორე – გამოძიების მიერ ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტი), რომ ღამით არაგვის ფერდობზე ჩარბენა შესაძლებელია ყოველგვარი უმცირესი დაზიანებების გარეშე.

რა დადასტურდა დაცვის ექსპერიმენტით?

სრული კაპიტულაცია დაუჯერებელი მიზეზით.

მადლობა ყველა ადამიანს, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ ხელს გვიწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში და ყოველდღიურად გვარწმუნებს, რომ საქმეზე ჭეშმარიტება უკვე დადგენილია!

P.S. რაღა დაგიმალოთ და სასიამოვნოდ გაოცებული კი გახლავარ(თ)“.

„ბაია და გიორგი ნასვამები იყვნენ. ბაია ალბათ მიეყუდა რაღაცას და გადავარდა“

15 აგვისტოს, გამთენიისას, „დედაენის ბაღში“ მდებარე „ბაუჰაუს ბარის“ ორი თანამშრომელი – გიორგი შალამბერიძე და ბაია ბერუაშვილი – გაუჩინარდა.

2-დღიანი ძებნის შემდეგ ახალგაზრდების ცხედრები მტკვარში, ბარის მიმდებარე ტერიტორიასთან ახლოს იპოვეს. მაშველები დილიდან ათვალიერებდნენ სპეციალური წყლის სკანირების აპარატით წყლის ფსკერს და დღის 2 საათზე ჯერ გოგონას ცხედარი ამოიყვანეს, შემდეგ – ბიჭის.

ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა ბაია ბერუაშვილისა და გიორგი შალამბერიძის გარდაცვალების მიზეზი. ამ დეტალებს სამართალდამცავები დაადგენენ. მთელი დღე გრძელდებოდა დაღუპული ახალგაზრდების ახლობლების, ნათესავებისა და ბარის თანამშრომლების დაკითხვა პოლიციის განყოფილებაში. დაკითხვის შემდეგ, მათ მედიასთან კომენტარი არ გააკეთეს.

როგორც გარდაცვლილი გოგონას ახლობელმა კვირის პალიტრასთან საუბარში აღნიშნა, ცხედრებს ვიზუალური დათვალიერებით ძალადობის კვალი არ აღენიშნებათ, ამიტომ ოჯახის ახლობლები უბედურ შემთხვევას განიხილავენ.

ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, ბაია დაბალი მოაჯირიდან მტკვარში გადავარდა და შემდეგ მისი გადარჩენა გიორგი შალამბერიძემ ცადა.

ბაია ბერუაშვილის ცხედარს ექსპერტიზის ბიუროდან თერჯოლაში, სოფელ ეწერში გადაასვენებენ, ხოლო გიორგი შალამბერიძე თბილისში, საკუთარ სახლში მიასვენეს.

ბაია წარმოშობით ქუთაისელია, ქუთაისში აქვთ საცხოვრებელი სახლი, ბოლო წლები მისი დედაც თბილისში მუშაობდა და ოჯახს თურმე გლდანში ახალი ნაყიდი ჰქონდა ბინა.

– ბაია ძალიან მოწესრიგებული გოგო იყო, თბილი, უკარგესი ადამიანი. უნივერსიტეტში ფსიქოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, ერთი პერიოდი „ბორმენტალში“ მუშაობდა ფსიქოლოგად, მერე იყო ამ ბარის თანამშრომელი, მაგრამ, როგორც შევიტყვე, ბოლო დროს კომპანია „ბილაინში“ მუშაობდა. იქიდან წამოსვლას აპირებდა, განცხადებაც ჰქონდა დაწერილი, რატომ მოდიოდა, არ ვიცი, მაგრამ, როგორც მითხრეს, სექტემბერში უკვე ტოვებდა სამსახურს.

ამ ბარში ახლა მუშაობდა თუ არა, არ ვიცი. სულ ვეხუმრებოდი, მაინცდამაინც ჯავახიშვილი უნდა დაგემთავრებინა, ბარში რომ გემუშავა-მეთქი. სურდა, თანხა მოეგროვებინა და თავისი ბარი ჰქონოდა. როგორც ამბობენ, იქ მეგობრის დაბადების დღეზე იყო მისული, შეიძლება, ბარის ყოფილ თანამშრომელს ჰქონდა დაბადების დღე და იქ მივიდა. ერთი ის ვიცი, რომ ნარკოტიკს არასდროს გაეკარებოდა, ძალიან კარგი ახალგაზრდა იყო, კარგი ოჯახის შვილი. განადგურებულები ვართ ამ ამბით. წარმოუდგენელია იმის დაჯერება, რომ ბაია აღარ გვყავს. გარდაცვლილ ბიჭს არ ვიცნობდი, მაგრამ მასაც ყველა დადებითად ახასიათებს.

რა მოხდა, არ ვიცით. როგორც ოჯახის წევრები ვარაუდობენ, გადავარდა იქიდან ან მიეყუდა რაღაცას და გადავარდა, შემდეგ, ეტყობა, ბიჭმაც დახმარება ცადა. სხვა ვერსია არ გვაქვს. ის, რომ ნასვამები იყვნენ, ცნობილია, ამიტომ უფრო მეტად განიხილება უბედური შემთხვევა, – უთხრა ბაიას მეგობარმა კვირის პალიტრას.

„ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა სოფო ბალავაძემ დაადასტურა, რომ ბაია ბერუაშვილი მათი თანამშრომელი იყო, თუმცა, იქვე დასძინა, რომ მათთან ცოტა ხანი მუშაობდა და წასვლაზე განცხადება დაწერილი ჰქონდა:

– „ქოლ ცენტრში“ მუშაობდა. ერთი თვე რჩებოდა განცხადების დაწერის შემდეგ. არაფერი განსაკუთრებული არ ვიცი. აქ დატვირთული რეჟიმია, შეიძლება, არ მოეწონა გრაფიკი.

საქმეზე გამოძიება გრძელდება.

სენაკში ძარცვის ფაქტზე წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სენაკში 16 აგვისტოს მომხდარი ძარცვის ფაქტი გახსნეს. დაკავებულია წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი პირი – 1998 წელს დაბადებული გ.გ. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თანამზრახველებთან ერთად, მიმდინარე წლის 16 აგვისტოს, საკუთარ საცხოვრებელ სახლში 1937 წელს დაბადებული ქალი გაძარცვა და მიიმალა. პოლიციამ ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე დღეში სენაკში დააკავა.

„სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნაძარცვი ნივთები ამოიღეს, ასევე ამოღებულია 1 ცალი რევოლვერი, რომელზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. მომხდარ ფაქტზე გრძელდება საგამოძიებო ღონისძიებები დანაშაულის ჩამდენი სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილ ძარცვის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ბოლოს დედას ელაპარაკა და მობილური უცბად გათიშა“

მტკვარში ვეფხვია ხაჩიძეს ეძებენ

19 აგვისტოს მდინარე მტკვარში მაშველები ახალგაზრდა მამაკაცს ეძებდნენ.

31 წლის მამაკაცი ბოლოს, სავარაუდოდ, 18 აგვისტოს ნახეს. დაკარგულის მამა აცხადებს, რომ მის შვილს პრობლემები არ ჰქონია.

დაკარგული ვეფხვია ხაჩიძის კვალი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ქრება. მამის განცხადებით, მისი შვილი სახლიდან გამოსვლის დროს ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა.

– ჩემი შვილი 31 წლის არის, არაფერი პრობლემა ჰქონია, ერთი შვილი ჰყავდა. ბოლო კონტაქტი მასთან ჩემს მეუღლეს ჰქონდა, ჩემმა შვილმა უცბად გათიშა ტელეფონი, მანამდე კი უთხრა, მალე მოვალ სახლშიო, – აცხადებს მტკვარში დაკარგული ბიჭის მამა ლერი ხაჩიძე.

ტვ პირველის ინფორმაციით, კამერებმა ვეფხვია ხაჩიძე ბოლოს იმ ადგილას დააფიქსირეს, სადაც მტკვარზე დიდი მილია გადებული. არსებობს ვარაუდი, რომ მამაკაცი ამ მილით მტკვარზე გადასვლას შეეცადა და ამ დროს მდინარეში ჩავარდა.

31 წლის მამაკაცის გაუჩინარებასთან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება უკვე დაიწყო.

რუსთავში 60 წლის მამაკაცი დამწვარი იპოვეს

რუსთავში საცხოვრებელ სახლში 60 წლამდე მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, მამაკაცის ცხედარი მთლიანად დამწვარი იყო.

მეზობლების თქმით, მამაკაცი ადგილზე მუშაობდა და, იმავდროულად, იქვე რჩებოდა ხოლმე დასაძინებლად.

შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. ცეცხლის გამომწვევ მიზეზებს ექსპერტიზა დაადგენს.

„ოჯახის ამდენი წევრი დახოცეს და არავინ დასჯილა?!“

აშშ თორაძეების საქმის გამოძიებაში ჩაერთო

ვერელი თორაძეების მკვლელობის გამოძიებაში აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო ჩაერთო. ამის შესახებ თამარ თორაძე სოციალურ ქსელში წერს.

„მართალია, მაგრად შემრცხვა პირველივე წინადადება გფბ-ს ოფიცრისგან: 28 წელი როგორ ვერ გამოიძიეს და არავინ დასჯილა? ოჯახის ამდენი წევრი მოკლეს? ისეთი გაკვირვებული იყო, ვამშვიდებდი, ახლა კარგი მთავრობა გვყავს და ყველა დაისჯება-მეთქი. ამათ ბევრი ფული აქვთ და ძნელად ისჯებიან-მეთქი. გაეცინა, ჩვენ ჯეფრი ეპშტეინი დავაპატიმრეთ და მაგას რა მნიშვნელობა აქვსო. აი, ხო ხედავთ, თქვენთან ვიწყებთ თანამშრომლობას და ჩვენც დავლაგდებით აუცილებლად ეს მთავრობა შეცვლის-თქო! აბა, გილოცავთ პირველ უდიდეს ნაბიჯს, ქართველებო!“ – წერს თამარ თორაძე.

თორაძეების ოჯახის მკვლელობის საქმეზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის ორგანოებს სამართლებრივი დახმარებისთვის მიმდინარე წლის მაისში მიმართა.

თორაძეების ოჯახის ტრაგედია 1992 წელს მოხდა. არსებული ინფორმაციით, თორაძეები „მხედრიონს“ დაუპირისპირდნენ. 1992 წლის თებერვალში ძმებ თორაძეებს, ლაშას, კახასა და იმედოს, ასევე მათ მეგობარს „მხედრიონმა“ ნუცუბიძის პლატოზე ცეცხლი გაუხსნა. 3 მარტს ზაურ თორაძე, იზო ქურხულ-თორაძე და დაჭრილი ლაშა თორაძე ვერის სასაფლაოსთან ჩაცხრილეს.

მას შემდეგ ძმები ზაზა და პაატა თორაძეები უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან. მკვლელობას სხვებთან ერთად შეესწრო თორაძეების მცირეწლოვანი და თამარ თორაძე, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებში ცხოვრობს.

საერთაშორისო

ლუკაშენკო: „ბელარუსში სახელმწიფო გადატრიალება დაიწყო“

მინსკში ოპოზიციური საბჭო შეიქმნა

ბელარუსში საპროტესტო აქციები გრძელდება. მინსკში მანიფესტანტები იმ ციხეს მიადგნენ, სადაც გამომწყვდეულია ბელარუსის ოპოზიციის ლიდერ სვეტლანა ტიხანოვსკაიას ქმარი, სერგეი. ის თავის დაბადების დღეს საპყრობილეში შეხვდა. მანიფესტანტებმაც მას ეს დღე მიულოცეს. გაისმოდა შეძახილები:

– გამაგრდი!

საპროტესტო ტალღის უმაგალითო ზრდამ ლუკაშენკო შეაშფოთა. პრეზიდენტმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება დაიწყო. ამის დამამტკიცებლად მან ოპოზიციური საბჭოს შექმნა მოიყვანა.

საბჭო უკვე 14 აგვისტოს შეიქმნა. მის შემადგენლობაში შევიდნენ მარია კოლესნიკოვა (სვეტლანა ტიხანოვსკაიას შტაბის უფროსი), გამოჩენილი მწერალი და ნობელის პრემიის ლაურეატი სვეტლანა ალექსიევიჩი, უფლებადამცველი ბელეცკი. ლუკაშენკომ მათ ექსტრემისტები და ფაშისტები უწოდა.

ალექსანდრ გრიგორიევიჩმა ტელევიზიით წაიკითხა დოკუმენტი, სადაც ოპოზიციის გეგმებზეა საუბარი. ესენია: 1) რუსეთთან სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის თაობაზე შეთანხმების დენონსაცია; 2) ევრაზიული კავშირიდან გასვლა; 3) ბელარუსული ენის ერთადერთ სახელმწიფო ენად გამოცხადება, ხოლო რუსული ენის აკრძალვა; 4) ბელარუსული ავტოკეფალიური ეკლესიის აღდგენა; 5) ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება.

ლუკაშენკომ თავისი გამოსვლა მუქარით დაასრულა:

– ჩემ უკან რუსეთი დგას, ამიტომ შემწევს ძალა, ყველა თავგაცხელებულს ჭკუა ვასწავლო!

თავგაცხელებულები და ექსტრემისტები ლუკაშენკომ ოპოზიციური საკოორდინაციო საბჭოს წევრებს უწოდა. ამ უკანასკნელებმა პრეზიდენტის ბრალდებები უარყვეს.

– არავითარ გადატრიალებას არ ვამზადებთ. ეს ერთი! მეორე: არავითარ ნატოში ან ევროკავშირში გაწევრიანებას ან რუსული ენის აკრძალვას არ ვაპირებთ! ჩვენი მიზანი მხოლოდ სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და დიქტატორული რეჟიმის დემონტაჟია! ჩვენ უარვყოფთ ძალადობას, ჩვენ არ გვსურს რევოლუცია, – განაცხადა მარია კოლესნიკოვამ.

სვეტლანა ტიხანოვსკაიამ კი კიდევ ერთი ვიდეომიმართვა გაავრცელა და ევროპის საბჭოს მოუწოდა, ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები არ ცნოს.

– უკვე მეორე კვირაა, ჩემი ხალხი მშვიდობიანად იბრძვის თავისი კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებისთვის, აირჩიოს საკუთარი ლიდერები. 9 აგვისტოს არჩევნები არც სამართლიანი იყო და არც გამჭვირვალე. მისი შედეგები გაყალბებულია. ბელარუსის ქალაქების ქუჩებში თავიანთი ხმების დასაცავად გამოსულ ადამიანებს სასტიკად სცემა, აღუკვეთა თავისუფლება და აწამა რეჟიმმა, რომელიც გაშმაგებით იბრძვის გადარჩენისთვის. ასობით ადამიანი დაშავდა, სულ მცირე, ორი კი გარდაიცვალა.

ეს ყველაფერი ევროპის ცენტრში ხდება. მოგიწოდებთ, არ აღიაროთ ეს გაყალბებული არჩევნები. ლუკაშენკომ დაკარგა ლეგიტიმობა ჩვენი ხალხისა და მთელი მსოფლიოს თვალში.

ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარების მიზნით საკოორდინაციო საბჭოს შექმნის ინიციატივით გამოვედი, რომელიც დიალოგის გზით ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარების პროცესს წარუძღვება და ახალ სამართლიან და დემოკრატიულ არჩევნებს ჩაატარებს.

ევროპის პატივცემულო ლიდერებო, მოგიწოდებთ, მხარი დაუჭიროთ ბელარუსის გამოფხიზლებას. მოვუწოდებ ყველა ქვეყანას, დაიცვათ საერთაშორისო სამართლის პრინციპები, პატივი სცეთ ბელარუსის სუვერენიტეტსა და მისი ხალხის არჩევანს, – განაცხადა ტიხანოვსკაიამ.

ნორვეგიის საგარეო უწყებამ რუსი დიპლომატი ქვეყნიდან გააძევა

ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, ქვეყნიდან გააძევოს რუსი დიპლომატი, რომელიც მანამდე დაკავებულ ჯაშუშთან შეხვედრებს მართავდა.

სამინისტრომ გადაწყვიტა, ამ დიპლომატის ვინაობა არ გაამხილოს, თუმცა განაცხადა, რომ ის რუსეთის საელჩოს სავაჭრო სექციაში მუშაობდა.

სამინისტროს კომუნიკაციის განყოფილების ხელმძღვანელ ტრუდე მაასაიდეს განცხადებით, სამინისტროში რუსეთის ელჩი უკვე დაიბარეს და განუცხადეს, რომ საელჩოს თანამშრომელი პერსონა ნონ გრატად არის გამოცხადებული. დიპლომატს ქვეყნის დასატოვებლად 72 საათი მიეცა.

დაკავებულმა ხარშარნ სინგხ ტატგარმა დაკითხვაზე განაცხადა, რომ რუს დიპლომატს ინფორმაცია მიაწოდა და ამისთვის მისგან თანხა მიღო.

ტატგარი შაბათს რუს დიპლომატთან შეხვედრის შემდეგ ერთ-ერთ პიცერიაში დააკავეს.

სირიაში რუსი გენერალი მოკლეს

სირიაში, დაირ-აზ-ზორის მახლობლად, რუსულ სამხედრო კოლონაზე თავდასხმა მოხდა. თანახმად ინფორმაციისა, აფეთქდა თვითნაკეთი მოწყობილობა. შედეგად რამდენიმე რუსი სამხედრო დაიღუპა, მათ შორის გენერალი ვიაჩესლავ გლადკიხი.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ გლადკიხის დაღუპვის ფაქტი დაადასტურა.

მან მოკლული გენერალი ჯილდოზე წარადგინა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

საბურთალომ ჩიხურა არ დაინდო

ჩიხურა-საბურთალო 2:8

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 ცნობილაძე (3), 0:2 ტერა (10), 1:2 დეკანოიძე (15), 1:3 ქავთარაძე (17), 1:4 ლუმუ (27), 1:5, 1:6 ქავთარაძე (34, 39), 1:7 ტერა (52), 1:8 მარგველაშვილი (60), 2:8 ჩიკვაიძე (89)

ჩიხურა: ბეგაშვილი (კაპანაძე 21), მაჩაიძე, კამლაძე, კორიფაძე (ტეფნაძე 46), ჯაფიაშვილი, ჯავაშვილი, ჩიკვაიძე, კიკაბიძე, ფოცხვერია (შარვაძე 69), დეკანოიძე, მუჯირი

საბურთალო: კუპატაძე, მალი (გულიაშვილი 62), მარგველაშვილი, გრიგალაშვილი, კაკუბავა, ცნობილაძე (ბელიაევი 9), ტერა, ალთუნაშვილი (ბუმალი 57), ლუმუ, ტაბატაძე, ქავთარაძე

დედაქალაქურმა საბურთალომ, რომელიც 5 წელია, უძლიერესთა შორის თამაშობს, ყველაზე დიდი ანგარიშით იმარჯვა – თბილისელებმა საჩხერის ჩიხურა არასაფეხბურთო ანგარიშით 8:2 დაამარცხეს.

ქალაქელებმა მოახლოებულ ევროტურნირებამდე მშვენიერი განწყობა შეიქმნეს – საბურთალოელებს საჩხერელებთან მატჩში ყველაფერი გამოსდიოდათ. თემურ შალამბერიძის შეგირდებმა ერთმანეთზე ლამაზი გოლები გაიტანეს.

ჰეთ თრიკი მიითვალა ბექა ქავთარაძემ, რომელმაც 22 წუთში მოახერხა 3 გოლის გატანა. დუბლი გაიფორმა მშვენიერ ფორმაში მყოფმა ელვინ ტერამ, რომელმაც ბოლო მატჩებში საგრძნობლად უმატა თამაშს. საბურთალოში პირველი გოლი გაიტანა ჟერონ ლუმუმ (ჰოლანდიელმა ასისტიც მიითვალა), თითო-თითო გატანილი ბურთი კი გაგი მარგველაშვილისა და დაჩი ცნობილაძის ანგარიშზეა. ორივე მათგანმა გოლები თავით გაიტანეს, ორივე ეფექტური გამოდგა.

საბურთალოში დებიუტი შედგა კამერუნელი შემტევი ნახევარმცველის, ოლივიე ბუმალის – აფრიკელი ფეხბურთელი მინდორზე 58-ე წუთიდან გამოჩნდა. ახალწვეულმა პირველივე შეხვედრაში საგოლე პასი მიითვალა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	10	5	5	0	18:6	20
2.დინამო (თბ)	10	5	4	1	16:4	19
3.საბურთალო	10	5	4	1	19:9	19
4.დილა	9	4	4	1	14:6	16
5.თელავი	10	2	7	1	9:6	13
6.ლოკომოტივი	10	3	4	3	11:14	13
7.ტორპედო	9	2	3	4	7:13	9
8.სამტრედია	10	2	3	5	7:16	9
9.ჩიხურა	10	1	2	7	9:25	5
10.მერანი	10	0	4	6	4:16	4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალვიდოსკოპი

ქალმა ორი სარეცხი საშუალება ერთმანეთს შეურია და დაიღუპა

ლონდონის მკვიდრმა ქალმა სააბაზანოს დასუფთავების დროს ორი სარეცხი საშუალება ერთმანეთს შეურია და გარდაიცვალა.

34 წლის სელია სეიმური სააბაზანო ოთახს სადეზინფექციო საშუალებებით წმენდდა, რა დროსაც ასთმური შეტევა დაემართა და სულის ხუთვა დაეწყო. სელიას გულისა და ფილტვების რეანიმაცია ჩაუტარდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების გამო სეიმური ხელოვნურ კომაში გადაიყვანეს, ოთხი დღის შემდეგ კი ის გარდაიცვალა.

სეიმურის დედა ვარაუდობს, რომ ასთმის სასიკვდილო შეტევა მის ქალიშვილს იმის გამო დაემართა, რომ მან ქლორი სხვა სარეცხ საშუალებას, სავარაუდოდ, უნიტაზის საწმენდს შეურია. სახანძრო სამსახურმა ასეთი რისკის არსებობა დაადასტურა. პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

ეზოში გამოსული ამერიკელი ფოცხვერის ალიგატორზე თავდასხმის თვითმხილველი გახდა

ამერიკის ფლორიდის შტატის მკვიდრი საკუთარ ეზოში ფოცხვერისა და პატარა ალიგატორის დაპირისპირების თვითმხილველი გახდა.

კონერ დემონტე ეზოში მანგოს მოსაკრეფად გამოვიდა და ფოცხვერი შენიშნა. მან მტაცებელი ცხოველის ვიდეოზე გადაღება დაიწყო. მალე კადრში ალიგატორის ნაშიერი აღმოჩნდა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ურტყამს თათს ფოცხვერი პატარა ალიგატორს, რომელიც ამ დროს სახლის წინ, მოკირწყლულ გზაზე დგას. ამის პასუხად რეპტილიამ თავდამსხმელის შესაშინებლად პირი რაც შეეძლო, ფართოდ დააღო, თუმცა ფოცხვერი ამან ვერ შეაჩერა და რეპტილიაზე შეტევა გააგრძელა.

რამდენიმე წამის შემდეგ ორთაბრძოლის მონაწილეებმა გზიდან ბალახზე გადაინაცვლეს. ერთ მომენტში შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოსდა ალიგატორმა თავდამსხმელისგან თავის დაღწევა შეძლო. ფოცხვერი უკან გახტა, მაგრამ მალევე ისევ შეუტია, პატარა ალიგატორი ჰაერში აისროლა და პირით დაიჭირა. ამით მათი ორთაბრძოლა დასრულდა. ფოცხვერმა ნადავლი ტყისკენ გააქანა.

მოსწავლე გოგონებმა ძაღლების გამტაცებელი ბანდის საიდუმლო სიგნალი გაშიფრეს

ორმა მოსაზრებულმა ირლანდიელმა მოსწავლე გოგონამ გაშიფრა ის საიდუმლო სიგნალი, რომელსაც ძაღლების გატაცებით დაკავებული ბანდის წევრები ერთმანეთს უტოვებდნენ.

დუბლინელი 10 წლის სოფი და დანიელი მშობლების და მათი მეგობრების საუბრის მოწმეები გახდნენ, როდესაც ისინი მსჯელობდნენ შემთხვევაზე, რომელიც მეზობელს შეემთხვა. ქალის წინ, რომელიც თავის რეტრივერს ასეირნებდა, გაჩერდა მცირე სატვირთო მანქანა, საიდანაც უცხო მამაკაცი გადმოვიდა, ძაღლის პატრონს გაესაუბრა და შემდეგ მანქანაში დაბრუნდა. ამის შემდეგ სატვირთოდან სხვა მამაკაცი გადმოვიდა და შეეცადა ქალისთვის ძაღლი წაერთმია. ბოროტმოქმედები შემთხვევითმა გამვლელმა დააფრთხო. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში მთელი ირლანდია ძაღლების ქურდობამ მოიცვა.

მოგვიანებით ყურადღებიანმა გოგონებმა აღმოაჩინეს, რომ ათეულობით სახლის კარზე და სანაგვე ბუნკერებზე პლასტიკატის სამაგრები იყო დამაგრებული. გოგონები მიხვდნენ, რომ ასეთი სახით ბანდიტები იმ სახლებს ნიშნავდნენ, რომელთა პატრონებსაც ძაღლები ჰყავდათ და რომლებიც შემდგომში უნდა მოეპარათ. გოგონებს რამდენიმე საათი დასჭირდათ იმისთვის, რომ ეს ნიშნები მოეხსნათ. სოფის დედამ სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა მოჭრილი პლასტიკატის სამაგრების ფოტოსურათი, რათა ამით შინაური ცხოველების პატრონები გაეფრთხილებინა.

ციდან ჩამოვარდნილი თევზი მანქანის ბამპერში გაიჭედა



ამერიკის ტენესის შტატში თეთრი ოკუნი ციდან ჩამოვარდა და გზაზე მოძრავ ავტომობილს დაეცა.

შაბათს, 15 აგვისტოს, შტატის ბუნების დაცვის სააგენტომ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა ინფორმაცია, რომელშიც იტყობინებოდა, რომ ციდან ჩამოვარდნილი თევზი ედი ლაინბერგერის ავტომობილს დაეცა.

– უამრავი გარეული ცხოველი გვინახავს, რომლებსაც ავტომობილი დაეჯახათ, მაგრამ თევზთან ასეთი შემთხვევა პირველია, – იტყობინება სააგენტო. გამოქვეყნებულ ინფორმაციას დართული აქვს ფოტოსურათი, რომელზეც ჩანს, თუ როგორაა ავტომობილის ბამპერში თავით ჩაჭედილი თეთრი ოკუნი. ამ ინციდენტის შედეგად რამდენად დაზიანდა ავტომობილი, უცნობია.

ლაინბერგერი ავტომობილით ქალაქ ნეშვილიდან 24 კილომეტრით დაშორებული ტბა უოტსი ბარის მახლობლად გადაადგილდებოდა, როდესაც თევზი მის მანქანაზე დაეცა. სავარაუდოდ, თევზი თეთრთავა არწივს დაუვარდა, რომელსაც ნადავლი კლანჭებში ეჭირა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

გრაკლიანი გორაზე ახალი არტეფაქტები აღმოაჩინეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გრაკლიანი გორაზე აღმოაჩინა ახალი არქეოლოგიური არტეფაქტები, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის II და I ათასწლეულებით თარიღდება.



საველე სამუშაოების წარმოებისას პირველ ტერასაზე სამარხებში დიდი რაოდენობით კერამიკული და ლითონის ინვენტარია აღმოჩენილი.

ახალი აღმოჩენები გაკეთდა ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეების სატაძრო კომპლექსის ნაშთების კვლევისას, სადაც პირველად დაფიქსირდა არტეფაქტები, რომლებიც რკინის ნივთების წარმოებასთან არის დაკავშირებული.

არქეოლოგიურ გათხრებს, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართულობით მიმდინარეობს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე პირადად გაეცნო.

თელავის თეატრი საქართველოში სპექტაკლებს წარმოადგენს

ვაჟა ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრი თბილისის მასშტაბით სპექტაკლებს გამართავს.

გასტროლები 21 აგვისტოს დაიწყება. თელავის თეატრის დასი მაყურებელს შესთავაზებს რეჟისორ კახა გოგიძის მიერ დადგმულ სპექტაკლს „კოვიდ 19 ანუ აკრძალვები ქართულად“.

თელავის თეატრის ტურნე საქართველოს გარშემო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალვიდოსკოპი

სერფერმა ზვიგენს ხახაში დაფის ნამტვრევი ჩასჩარა და თავი გადაირჩინა

ავსტრალიის დასავლეთ ავსტრალიის შტატში სერფერმა ხუთმეტრიან ზვიგენს ჯერ ცხვირში ჩაარტყა, შემდეგ კი დაფის ნამტვრევი ხახაში ჩასჩარა და მის თავდასხმას ცოცხალი გადაურჩა.

28 წლის ფილ მამერტი ბანკერ-ბეის პლაჟზე სერფინგით იყო დაკავებული. მოულოდნელად მას თავს დიდი თეთრი ზვიგენი დაესხა.

– ჩემს დაფაზე ვიჯექი და მოულოდნელად ზვიგენმა მიკბინა. ამის შემდეგ ის მახსოვს, რომ უკვე წყალში ვიყავი, ხოლო ჩემი სერფინგის დაფა შუაზე იყო გადაკვნეტილი, – იხსენებს მამერტი. სერფის წინა ნაწილი წყალზე ტივტივებდა, ხოლო უკანა ნაწილი მამაკაცს ჯერ ისევ ფეხზე ჰქონდა გამობმული.

– დაფის უკანა ნაწილი მე და ზვიგენს შორის აღმოჩნდა. დაფას ხელი ვტაცე და შევეცადე, ზვიგენისთვის პირში ჩამეთხარა. რამდენიმე წამი დამჭირდა იმის გასაცნობიერებლად, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ეს ყოველივე შენელებულ გადაღებას ჰგავდა, – ყვება ავსტრალიელი. მან მტაცებელ თევზს ცხვირსა და თავში მუშტები დაუშინა.

ეს ყოველივე სხვა სერფერებმა შენიშნეს და დასახმარებლად მისცვივდნენ.

– მახსოვს, როგორ შევნიშნე მისი ზურგის ფარფლი. ის დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის იქნებოდა. ზვიგენი ჯერ კიდევ ჩემ გვერდით იყო, როდესაც სხვა ბიჭები დასახმარებლად მოცვივდნენ, – განაცხადა მამერტმა, – ისინი ნამდვილი გმირები არიან. მათ დაღუპვას გადამარჩინეს.

დაშავებული სერფერი ნაპირზე ამოიყვანეს, შემდეგ კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა მამაკაცს ფეხზე დარჩენილ ზვიგენის ნაკბენზე ნაკერები დაადეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბარსა კუმანს ჩააბარეს

გადაწყვეტილი ამბავია – რონალდ კუმანი ბარსელონას გაწვრთნის. 57 წლის სპეციალისტმა კონტრაქტს ხელი მოაწერა და კატალონიურ კლუბს 2022 წლის ზაფხულის ჩათვლით უთავკაცებს.

ახალი მწვრთნელის პრეზენტაცია ყველა სამედიცინო რეკომენდაციის გათვალისწინებით შედგა.

ფეხბურთელის რანგში კუმანმა ბარსელონის მაისური 1989-95 წლების ჩათვლით მოირგო. 4-ჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, 3-ჯერ – სუპერთასის, ხოლო თითოჯერ სამეფო თასის, ჩემპიონთა ლიგისა (მაშინდელი ჩემპიონთა თასი) და უეფას სუპერთასის გამარჯვებულია.

რაც შეეხება სამწვრთნელო კარიერას, კუმანს ბარსელონაში უმუშავია ასისტენტის რანგში, დამოუკიდებლად კი 2000 წელს შეუდგა საქმეს და პირველი გუნდი ვიტესი იყო, რომელსაც შემდეგ მოჰყვა აიაქსი, ბენფიკა, პსვ, ვალენსია, ალკმაარი, ფეინოორდი, საუთჰემპტონი და ევერტონი, ბოლოს კი ნიდერლანდების ნაკრების თავკაცი იყო. კატალონიური გუნდის ახალი მწვრთნელის შეთავაზებას დასთანხმდა და მისი სამწვრთნელო შტაბის წევრი გახდა ჰელსინგბორგის ყოფილი მთავარი მწვრთნელი და ბარსელონის ექსფორვარდი ჰენრიკ ლარსონი. ესპანური მედიის ცნობით, ლარსონი ბარსას ფორვარდების მწვრთნელი იქნება.

„ბლაუგრანას“ სამწვრთნელო შტაბში ასევე იმუშავებს ალფრედ შროიდერი, რომელიც ივნისში ჰოფენჰაიმიდან გაათავისუფლეს.

პსჟ ფინალშია

ლაიფციგი-პსჟ 0:3

ლისაბონი. და ლუჟი

0:1 მარკინიოსი (13), 0:2 დი მარია (42), 0:3 ბერნატი (56)

პარიზულ კლუბს მეოთხედფინალში უფრო გაუჭირდა, როდესაც ატალანტას მარცხს ბოლოში დაუძვრა. ნახევარფინალში კი იოლი გასეირნება გამოუვიდა. ლაიფციგისა და იულიან ნაგელსმანის ზღაპარი ფინალამდე დამთავრდა.

გერმანულ გუნდს კლასი და თავდაჯერება აკლდა. პსჟ-მ სწრაფი გოლი გაიტანა, ლაიფციგი კი ცდილობდა, თანაფარდობა აღედგინა, მაგრამ მეტოქემ მშვიდად დაამყარა თამაშზე კონტროლი. ერთბურთიანი სხვაობა ლაიფციგს იმედს კი უტოვებდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს შეცდომა დაუშვეს და ზედ შესვენების წინ ანხელ დი მარიამ ანგარიში გააორმაგა, რამაც გერმანელებს შანსი შეუმცირა.

მე-2 ტაიმში ლაიფციგს დასაკარგი არაფერი ჰქონდა და გაიხსნა. მართალია, პსჟ დაცვაში ჩაჯდა, მაგრამ კონტრშეტევები მწვავე იყო. ერთ-ერთი მათგანი კი სულაც გოლით დასრულდა.

დარჩენილ დროში მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ მეტი გოლი აღარ გასულა და პსჟ ფინალის საგზურიც დამსახურებულად მოიპოვა. ვინ იქნება მისი მეტოქე, ამას ერთმანეთში „ბაიერნი“ და „ლიონი“ გაარკვევენ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანხელ დი მარია

ასაკისა და სუპერვარსკვლავი თანაგუნდელების მიუხედავად, არგენტინელი ისევ რჩება გუნდისთვის საჭირო ფიგურად. გოლი და 2 საგოლე პასი – ასეთია დი მარიას მონაგარი ლაიფციგთან...

ტომას ტუხელი:

– წამითაც არ ვყოფილვარ მშვიდად, მაგრამ, დაცვაში რაც გავაკეთეთ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის. კარგი მონდომება, სულისკვეთება და ხარისხი ვაჩვენეთ. ერთგული ვიყავით ჩვენი სათამაშო სტილის, როდესაც ეს შესაძლებელი იყო, ვცდილობდით, გაგვეკონტროლებინა სივრცეები და მათი კონტრშეტევები. ასევე გამოვიყენეთ დი მარიას, მბაპესა და ნეიმარის აჩქარებები. დიდი ტაქტიკური ცვლილებები არ გაგვიკეთებია, ფეხბურთელებმა კიდევ ერთხელ აჩვენეს გამარჯვების, ერთად მუშაობისა და მოთმინების სურვილი. ფეხბურთი გულშემატკივრებისაა. ერთად გავედით ფინალში, ნამდვილად ვგრძნობთ, რომ ისინი ჩვენთან არიან და გვენდობიან. იმედი მაქვს, ისინი ხედავენ, რომ ნამდვილი გუნდი ვართ.

იულიან ნაგელსმანი:

– პარიზელებმა ფინალში გასვლა დაიმსახურეს. საწყის 10-12 წუთში ჩვენთვის ყველაფერი კარგად მუშაობდა, იყო კარგი მომენტები. მე-2 გოლის შემდეგ თამაშში დაბრუნება რთული იყო, რადგან პსჟ ძალიან მაღალი დონის გუნდია. რთულია შეგუება, მაგრამ ფეხბურთი ასეთია. 2 გაშვებული გოლის შემდეგ ჩვენს ფეხბურთელებში საკუთარი თავის რწმენამ გაქრობა დაიწყო, რაც ნორმალურია. ადვილი არაა ახლა იმის თქმა, რომ ჩემპიონთა ლიგაზე კარგი სეზონი გვქონდა, მაგრამ ერთ კვირაში ყველაფერი კარგად იქნება. ვიცით, რომ ეს სეზონი ახალგაზრდა გუნდისთვის ძალიან წარმატებული იყო. ვიმუშავებთ და ვეცდებით, მომდევნო სეზონში იგივე კიდევ ერთხელ გავაკეთოთ.

თორნიკე შენგელია საქართველოდან რუსეთში ექსტრემალურად ჩავიდა

თორნიკე შენგელია მოსკოვის ცსკას გულშემატკივრებს ესაუბრა. ქართველი კალათბურთელი ფანებს რუსული ენის ნაცვლად ინგლისურად პასუხობდა...

– როგორ მოხვდით მოსკოვის ცსკაში?

– ცსკასა და ჩემი თანამშრომლობა ორმხრივი სურვილით იყო განპირობებული ჯერ კიდევ წლების წინ. ამ ზაფხულს ეს უკვე შესაძლებელი გახდა. ბასკონიასთან ერთად ყველაფერს მივაღწიე, რაც შემეძლო. ეს იყო მაქსიმუმი. ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი ოცნება ევროლიგის მოგებაა. ცსკას კი ახლა ისეთი შემადგენლობა ჰყავს, რომ ოთხთა ფინალს ვუმიზნებთ.

– ნიკოლა მილუტინოვთან ერთად ფორვარდთა სერიოზულ დუეტს შექმნით.

– მილუტინოვი ერთ-ერთი საუკეთესო 5 ნომერია. როდესაც ერთმანეთს კარგად შევეწყობით და მეტოქე გუნდებისთვის სერიოზულ საფრთხეს შევქმნით, ჩვენგან კარგი დუეტი დადგება.

– საქართველოდან რუსეთში როგორ ჩამოაღწიეთ?

– საკმაოდ ექსტრემალური მოგზაურობა გამომივიდა. საქართველოს მხრიდან არ მქონია შეზღუდვები, ხელს მიწყობდნენ. მანქანით ჩავედი ბუფერულ ზონაში, შემდეგ ფეხით ვიარე კილომეტრამდე რუსეთის მხარემდე.

– ერთხელ მატჩის დროს კალათი მოგლიჯეთ. როგორ მოახერხეთ ეს?

– მაშინ ნიღაბი მეკეთა, რომელიც მიზღუდავდა მხედველობას. როცა ბურთი ვერ ჩავაგდე, გავბრაზდი და კალათს ძალით ჩამოვეკიდე. ცუდია, რომ ასე მოხდა, რადგან კარგად ვთამაშობდით, შემდეგ კი ფარის შეკეთებას 20 წუთი დასჭირდა და რიტმიდან ამოვვარდით. აქამდე ერთხელ მაქვს კალათი ჩამოტეხილი, 16 წლის ვიყავი, ვალენსიაში ვთამაშობდი, მაგრამ მაშინ ჩავტენე.

– ბასკონიიდან ლამაზად წახვედით, გუნდთან ერთად ესპანეთის ჩემპიონი გახდით.

– ამაზე უკეთესი დამშვიდობება შეუძლებელი იყო. ბასკონიაში შესანიშნავი 6 წელი გავატარე. ბევრი მარცხიც გამომივლია, მაგრამ ეს ყველაფერი ღირდა ამ გამარჯვებად.

– ვინ მოიგებს ნბა-ს?

– პანდემიამდე ვიტყოდი, რომ ლეიკერსი მოიგებდა, მაგრამ ახლა ყველაფერი აირია და ვფიქრობ, სენსაციური გამარჯვებული გვეყოლება. პირადად პორტლენდს ვგულშემატკივრობ.

– დანი ჰეკეტმა 23 ნომერი იოლად დაგითმოთ.

– 23 ნომერი ძალიან მიყვარს, ბევრ დიდებულ მოთამაშეს უთამაშია ამ ნომრით. 23 ნომერი ჩემთვის ძალზე ბევრს ნიშნავს, ეს პიროვნულია. დანის რომ ველაპარაკე, მითხრა, რომ პატივს მცემს და, თუ გუნდში კომფორტულად შერწყმას ხელს შეუწყობს, დამითმობდა ამ ნომერს უპრობლემოდ. ძალიან გახარებული ვარ. ახლაც მადლობელი ვარ დანის. მალე მას კარგ საჩუქარს ვუმზადებ.

– რა დონეზე იცით რუსული?

– რუსულად ძალიან ცუდად ვიცი, „მადლობა“, „როგორ ხარ“, ასეთი ფრაზები... ბავშვობაში მასწავლიდნენ, მაგრამ არასდროს დამჭირვებია.

– რომელია საქართველოში საუკეთესო კუთხე?

– თბილისელი ვარ და თბილისი მიყვარს, თუმცა სვანეთში, გურიასა და სხვაგან მოგზაურობაც მიზიდავს. სამწუხაროდ, ამისთვის დრო სულ არ მაქვს. საქართველო საოცარი ქვეყანაა, გამორჩეული კუთხე არ მაქვს, რადგან მთელი საქართველო გამორჩეულია.

– ოჯახში ყველა კალათბურთს თამაშობდა. თქვენი მომავალიც წინასწარ იყო განსაზღვრული?

– დიახ ყველა თამაშობდა, ახლა მხოლოდ მე ვაგრძელებ თამაშს. ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარს კალათბურთი.

– რატომ აირჩიეთ ცსკა და არა რეალი?

– არ ვიცი, რა ინფორმაცია გაქვთ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, რეალისგან შემოთავაზება არ მქონია. ამ სეზონში მხოლოდ ცსკასგან მქონდა შემოთავაზება და ევროლიგის გამარჯვებულში დიდი სიხარულით გადმოვედი.

– ცსკა-ს რომელი კალათბურთელის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?

– ასეთი ბევრია, სამს დავასახელებ: კაილ ჰაინცი, მაიკ ჯეიმსი, ჰილარდი, რომელიც ძნელი შესაჩერებელია. გუნდმა ძალიან მეგობრულად მიმიღო, მაგრამ ზოგიერთთან (მაგალითად, მაიკ ჯეიმსთან და იოჰანეს ვოიტმანთან) ერთად მითამაშია, ასე რომ, მათთან უფრო ახლოს ვარ.

შედეგები

18 აგვისტო

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ლაიფციგი-პსჟ 0:3

უეფას ჩემპიონთა ლიგა

საკვალიფიკაციო ეტაპი

ყარაბახი-სილექსი 4:0

ლეგია-ლინფილდი 1:0

დინამო (ბრესტი)-ასტანა 6:3

სელტიკი-რეიკიავიკი 6:0

ცრვენა ზვეზდა-ევროპა 5:0

უეფას ევროპის ლიგა

ენგორდანი-ზეტა 1:3

ხუსეთი. პრემიერლიგა

სოჭი-რუბინი 3:2

ტამბოვი-ხიმკი 1:0

კრასნოდარი-არსენალი 2:0

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

როვანიემი-ინტერი 0:2

ჰაკა-ჰიკი 1:4

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო განცხადებები

ნატო ჯამელაშვილის მონატრება

ჩვენო საყვარელო ნატო! გავიდა უშენოდ ტკივილიანი ერთი წელი, რაც ჩვენგან წახვედი და ჩვენ შორის აღარ ხარ. საბედისწერო გამოდგა ყველა ჩვენგანისთვის 2019 წლის 20 აგვისტო. ამ დღეს გვიღალატე და გაოგნებულები დაგვტოვე ყველა.

ნატო, როცა თავს ყველაზე ბედნიერად გრძნობდი და ლამაზი ცხოვრება უნდა დაგენყო, უცბად არ გაცალა სიკვდილის ანგელოზმა, გზაში ჩაგისაფრდა და შენი თავი წაგვართვა.

ის აუხდენელი და სანუკვარი ოცნებები, რომლებიც გქონდა, შენთან ერთად დაიმსხვრა და დასამარდა.

შენ ლამაზი, კეთილი, უბოროტო, მიმნდობი და ძალზე თბილი ადამიანი იყავი.

დაე, ჩვენმა უსაზღვრო სიყვარულმა შეგიმსუბუქოს ის ძლიერი ტკივილი, რომელიც დაუმსახურებლად მოგაყენეს.

ნატო, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და იქ დაგიმკვიდროს სასუფეველი, სადაც შენნაირი კეთილი ადამიანები განისვენებენ.

უსაზღვროდ გვიყვარხარ, გვაკლიხარ და გვენატრები.

დიდი სიყვარულით, მშობლები რევაზ და გულიკო ჯამელაშვილები, ძმა გიორგი, რძალი ინგა, ძმისშვილი თომა, მამიდები მანჩო, ნანა და ეთერ ჯამელაშვილები, სიძე ამირან წოწორია, მამიდაშვილები საკო და სოფო წოწორიები, რუსიკო ჩიბუხაშვილი და მარიამ და გიორგი მაღალაშვილები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 1. ნეიტრონის აღმომჩენი ინგლისელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ძვირფასი ქვა; 3. საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე მომუშავე თანამდებობის პირი; 4. კარსტული მღვიმე წყალტუბოს მახლობლად; 5. ფინელი ბარონი, მარშალი, ეროვნული გმირი; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ტბა ჯავახეთში; 12. ავსტრალიის დედაქალაქი; 13. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფრანგი ავტომრბოლელი; 16. აცტეკების ლეგენდარული ბელადი; 17. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 19. მოძველებული მოვლენა, ძველი დროის გადმონაშთი; 21. ქვეწარმავლის შხამი; 23. კუთხე საქართველოში.

თარაზულად: 6. რაიმეს თანდათანობით გაუარესება; 7. უარყოფითი მსჯელობა რაიმეს შესახებ, ნაკლოვანებაზე მითითება; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 10. ბიბლიის ათი მცნება; 15. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 20. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 22. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. ესპანური ღვინო; 25. თათარაში ამოვლებული ნიგზის ან თხილის ასხმულა; 26. ფრანგული საიუველირო ფირმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დისპეფსია; 2. შევროლე; 3. დილეგი; 4. კლოპი; 5. ოდისეა; 11. მიქლიო; 12. ჩაქურა; 14. დილა; 16. ოპიზარი; 17. ყარაუნი; 19. მენისკი; 21. შტილი; 22. ტატრა.

თარაზულად: 6. ფიტარეთი; 7. კალანდა; 8. პირსი; 9. მერანო; 10. გიუმი; 13. სიმდი; 15. ნოქალაქევი; 18. ბოდრუმი; 20. ერფა; 21. მახათა; 23. ბისექტრისა; 24. ნოველა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კაზმი; 2. ლუვრი; 3. სუფრული; 4. კაფე; 5. არქი; 6. კლიენტი; 9. დისიმულაცია; 10. პროვიზორი; 11. ბრუქსიზმი; 14. ნავთი; 16. კლიპი; 18. კეპლერი; 20. ლაგვანი; 23. რენო; 24. კრიჟი; 25. ცერნი; 26. ჟიგა.

თარაზულად: 7. ლუფტჰანზა; 8. კვირინალე; 12. ბუერი; 13. ირანი; 15. რკინა; 17. ვანკუვერი; 19. დრამი; 21. ოპერა; 22. ომეგა; 27. პრევენცია; 28. დრაგომანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0746

ევრო — 3.6702

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0634

100 რუსული რუბლი — 4.1887

ამინდის პროგნოზი 20 აგვისტოსათვის

ტომას ტუხელი: „ფინალში მოხვედრა უდიდესი წარმატებაა“

პსჟ-ს მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუხელმა განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის ჩემპიონთა ლიგის ფინალში მოხვედრა უდიდესი წარმატებაა და ეს ისტორიული შედეგია, თუმცა მთავარი მატჩი მაინც წინ არის.

ტუხელის აზრით, პსჟ მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს და ფინალით დაკმაყოფილებას არ აპირებს:

– ჩვენ უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ და მთელი საფრანგეთი გავახარეთ. ეს უკლებლივ ყველა ფეხბურთელის დამსახურებაა. წინ ფინალია და ჯერ ჩვენი მისია არ დასრულებულა. მინდა, რომ საქმე ბოლომდე მივიყვანო და ჩემპიონთა ლიგა მოვიგო.

კოუტინიო, შესაძლოა, ბარსელონაში დაბრუნდეს

მიუნხენის ბაიერნის ბრაზილიელი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო, შესაძლოა, ბარსელონაში დაბრუნდეს. შეგახსენებთ, რომ კოუტინიო ბაიერნში იჯარის წესით არის და მასზე უფლებები ისევ ბარსელონას ეკუთვნის.

ბარსელონის პრეზიდენტ ჯოზეფ ბართომეუს თქმით, კოუტინიოს შესაძლო დაბრუნებაზე გადაწყვეტილებას ახალი მწვრთნელი რონალდ კუმანი მიიღებს. არსებობს შესაძლებლობა, რომ კუმანმა კოუტინიოს გუნდში დატოვება მოითხოვოს.

ბეილის მომავალი კვლავ გაურკვეველია

მადრიდის რეალის უელსელი ფორვარდის გარეტ ბეილის მომავალი ისევ ბუნდოვანია, რადგან მას რეალთან კიდევ ერთი წელი აკავშირებს კონტრაქტის მიხედვით, თუმცა ბეილს წასვლა სურს.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბეილის ყიდვის მსურველები არც ისე ბევრნი არიან, რადგან ბოლო პერიოდში უელსელმა ფეხბურთელმა ბევრი გამოტოვა და არცთუ კარგ ფორმაშია.

შესაძლოა, ბეილმა რეალი მომავალ ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნიანგი ბიჭს მამის თვალწინ დაესხა თავს

მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურის მახლობლად ნიანგი რვა წლის ბიჭს მამის თანდასწრებით დაესხა თავს და წყლის სიღრმეში ჩაითრია.

12 აგვისტოს დილით რვა წლის ასმინ აბდულა მდინარეზე საბანაოდ მამასთან ერთად იმყოფებოდა. როდესაც მამაკაცი რამდენიმე წუთით შეტრიალდა, ზურგს უკან წყლის დგაფუნის ხმა გაიგონა. ის შემოტრიალდა და დაინახა, რომ მის შვილს თავს ნიანგი დაესხა და ბავშვი წყლის სიღრმეში ჩაითრია.

მოგვიანებით რეპტილია მდინარის მეორე ნაპირთან გამოჩნდა. მამაკაცმა ყვირილი მორთო და დახმარება ითხოვა. მეხანძრეებმა, პოლიციელებმა და ბინების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად მდინარეში ხუთი ნავი ჩაუშვეს და ბავშვის ძებნა დაიწყეს, თუმცა მის კვალს დღემდე ვერ მიაგნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

20 აგვისტოსათვის

ვერძი – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **კურო** – საყიდლებზე წასვლას პლანეტები არ გირჩევენ. ნავაჭრით უკმაყოფილო დარჩებით. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **კირჩხიბი** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **ლომი** – საოჯახო საქმეები დიდ დროსა და ენერგიას დაგახარჯვინებთ, თუმცა შედეგით კმაყოფილი დარჩებით. ერიდეთ წვრილმან საქმის გარჩევებს. **ქალწული** – ადამიანები გენდობიან. ეცადეთ, მათ იმედი არ გაუცრუოთ. უცნობებს თქვენს საქმეებში ნუ გარევთ. **სასწორი** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია. **ღრიანკალი** – ფინანსური სიძნელეები შეგხვდებათ. მეგობრები ყოველგვარ გასაჭირში უყოყმანოდ დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისათვის მზად იყავით. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **თხის რქა** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. დღეს დაისვენეთ ან საოჯახო საქმეებს მიხედეთ. **მეწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. აგრესიისა და ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. **თევზები** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

კაცს სიდედრი ჭაში ჩაუვარდა და დაიღუპა. სამძიმარზე მისული ნათესავი ეუბნება:

– ეს რა დაგმართნია, კაცოო.

– ეგ არაფერია, მაგ ჭიდან წყალს მაინც არ ვსვამდი!

•••

კაცი მეზობელ ქალს ეკითხება:

– როგორ ხარ, ლამარა?

– რა ვიცი, წნევა მაწუხებს ძალიან. გუშინ 220 მქონდა...

– მერე, დაიყენე ტრანსფორმატორი და 127-ზე გადართე...

•••

კაცი სახლში რეკავს და კითხულობს:

– როგორ ხართ?

– კარგად.

– მგონი სხვაგან მოვხვდი...

•••

სახლში დაბრუნებული შვილი მამას ეუბნება:

– ყველგან შენ როგორ უნდა შემარცხვინო!

– რა იყო, შვილო, რა მოხდა?

– რა და, ბიჭები ვქეიფობდით, ჰოდა, მამების სადღეგრძელოზე, ყველას მამა მკვდარი ჰყავდა, მარტო შენ აღმოჩნდი ცოცხალი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემნა გვასალია: „მე ბავშვობა არ მქონდა“

აცხადებს ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია, რომელიც უცხოელი ჟურნალისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი რესპონდენტია.

– ბელგიელი დიზაინერების სკოლას ეკუთვნი, მაგრამ, როდესაც პარიზი დატოვე, ციურიხში გადახვედი. რატომ?

– მე მიყვარს თქვენი ქვეყანა. არ ვიცი, ახლა სად ვიქნებოდი, რომ არა ბელგია. როგორც დიზაინერმა, ყველაფერი ბელგიაში ვისწავლე. როდესაც ანტვერპენში ჩამოვდივარ, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სახლში ვბრუნდები, რასაც საქართველოში, იმავეს ვგრძნობ ანტვერპენში. ალბათ იმიტომ, რომ განათლება ანტვერპენში მივიღე, ჩემი პირველი სტუდია მანდ მქონდა, იქ შემიყვარდა პირველად. ბელგიასთან ბევრი მოგონება მაკავშირებს, ჩემთვის იქ დაბრუნება ცოტა რთულია. შვეიცარია ყოველთვის მიყვარდა – მთები, ტბები, ტყეები. შვეიცარია ოდნავ იმ ადგილს ჰგავს, სადაც ვიზრდებოდი.

– შეიძლება, შენი არჩევანი ფესვებთან სიახლოვის საჭიროებას უკავშირდება.

– მე ბავშვობა არ მქონდა. გარდა ამისა, ჩემი ეს ნაბიჯი იქიდანაც გამომდინარეობს, რომ მოდური სამყაროსგან დისტანცია მჭირდება. ყოველ სეზონზე ათასობით პროდუქტის დიზაინს ვაკეთებ, მგონი, უფრო მეტსაც. რომ შევძლო ასე გაგრძელება, პოზიტიურ რაღაცებზე კონცენტრირება მჭირდება. შვეიცარიაში სიყვარულით სავსე დღეები მაქვს. ჩემ გარშემო არიან ადამიანები, რომლებსაც მოსწონთ, რასაც ვაკეთებ, ყოველდღიური დიალოგი გვაქვს. შაბათ-კვირას ჩემს სიყვარულთან ერთად ვატარებ. ცხოვრების აზრი ეს არის.

– როგორ გახსენდება საქართველოში პირველი კოლექციის ჩვენება?

– ჩემი პირველი კოლექცია, რომელიც საქართველოში ვაჩვენე, ძალიან პრიმიტიული იყო, მაგრამ, დღევანდელი გადმოსახედიდან როცა ვუყურებ, მაინც მიხარია, რომ ეს გავაკეთე. გამოცდილება და ცოდნა არ მქონდა, მაგრამ ამიერკავკასიის დიზაინკონკურსზე მოვხვდი და მეორე ადგილი დავიკავე. მონაწილეობას არ ვაპირებდი, შემთხვევით მოხდა. ჩემი ძმაკაცი მოვიდა და მითხრა, რომ წვეულება იმართებოდა და ეძებდნენ ვიღაცას, ვინც შოუს მოაწყობდა. მკითხა, ვიცნობდი, თუ არა ვინმეს, ვინც საღამოსთვის ჩვენებას გამართავდა. რადგან ტანსაცმელი ბავშვობიდან მაინტერესებდა, გადავწყვიტე, მეცადა. შემდეგ მითხრეს, რომ თბილისში ამიერკავკასიის დიზაინკონკურსი ტარდებოდა და მონაწილეობა მიმეღო. გამოუცდელმა და უცოდინარმა, მეორე ადგილი დავიკავე. ძალიან გამიხარდა. მაშინ სერიოზულად პირველად დავფიქრდი, რომ ამ სფეროში რაღაც გამეკეთებინა. მსიამოვნებს, როცა ქალებისგან მესმის, რომ ჩემი პირველი კოლექციიდან რაღაცები დღემდე აქვთ.

– რას ნიშნავს შენთვის ბრიტანული მოდის საბჭოს ეს ჯილდო?

– გამარჯვება, რა თქმა უნდა გამიხარდა, ძალიან მადლიერი ვარ, მაგრამ ჩემთვის ისიც კი პატივია, რომ დონატელა ვერსაჩესთან, ტომ ფორდთან ერთად ერთ შენობაში ვარ. ამის გამო თავს იღბლიანად მივიჩნევ. ვინმეს წლების წინ რომ ეთქვა, დღეს აქ ვიქნებოდი, არ დავუჯერებდი.

– რას ურჩევდი ახალგაზრდებს?

– რჩევებზე მთელი წიგნის დაწერა შემიძლია, მაგრამ მთავარი მაინც ესაა: არ უსმინო არავის, მხოლოდ საკუთარი ხედვა მიგიყვანს სწორ ადგილას.

გელათის სამონასტრო კომპლექსში მძიმე მდგომარეობაა



გელათის სამონასტრო კომპლექსში მძიმე მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ეთო ედიშერაშვილმა სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– გელათის სამონასტრო კომპლექსის ადგილზე დათვალიერებისას ცხადი ხდება, რომ თეთრი კერამიკული კრამიტი, რომელიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დასკვნის მიხედვით მთავარ ტაძარზე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების ბოლო ეტაპის ხარვეზად სახელდება, დღევანდელი მძიმე მდგომარეობის ერთადერთი გამომწვევი მიზეზი არ არის.

აშკარაა, რომ გელათის მთავარი, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა და წმინდა გიორგის ეკლესიის გადახურვა მთლიანად გაუმართავია, რისი შედეგიც ნაგებობათა ფასადების არაერთ ადგილას არის შესამჩნევი გამომარილებისა და ნესტის მუქი ლაქების სახით.

გადახურვის გაუმართაობამ ინტერიერში მხატვრობის მდგომარეობის გაუარესებაც გამოიწვია.

ამ ეტაპზე მოხერხდა მთავარი ტაძრის ცენტრალური სივრცის ქვემოდან, ხარაჩოს გარეშე და პატრონიკედან, ნართექსის, ჩრდილო-დასავლეთი ეგვტერისა და კარიბჭის დათვალიერება. ამასთანავე, მოხერხდა წმინდა გიორგის ეკლესიის ზოგადი მოხილვაც. სუსტი განათების გამო ნაწილობრივ მოხერხდა ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვტერების დათვალიერება, სადაც იგრძნობოდა ნესტის მძაფრი სუნი, ხოლო საერთოდ ვერ მოხერხდა საკურთხევლისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი ეგვტერის ნახვა, სადაც სრული სიბნელე იყო.

მთავარ ტაძარში, ცენტრალურ სივრცესა და ნართექსში განსაკუთრებულად საგრძნობია ნესტის მძაფრი სუნი, რაც მანამდე არ შეინიშნებოდა. საგრძნობლადაა მომატებული ნესტის ლაქები, ბევრგან ჩანს ფერწერული ფენის ზედაპირზე არსებული გამომარილება, კედლიდან ბათქაშის მოცილება და გაფხვიერება, აშკარაა მხატვრობის ცვენის პროცესი და მომატებული ვარდისფერი ნადები, ბიოლოგიური დაზიანება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნართექსსა და ცენტრალური სივრცის ცალკეულ ადგილებში, მაგალითად, ტაძრის ჩრდილოეთ მკლავში. ინტერიერის სხვადასხვა ადგილას შეინიშნება ფერწერული ფენის გაფხვიერება – პატრონიკეს თაღის ნაწილები, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავები. მხატვრობის გარდა, ზოგან შეინიშნება ქვის მცირე ნატეხების ცვენაც – ჩრდილო-დასავლეთი აფრის ქვეშ. ასევე, მსგავსი დაზიანებებია ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ეგვტერსა და ჩრდილოეთ კარიბჭეშიც, სადაც სარესტავრაციო პროცესის დაწყების შემდეგ ჩამოსულმა ძლიერმა ნალექმა განაპირობა კედლების დანესტიანება, ნესტის ლაქების მატება, გამომარილება, ფერწერული ფენის აქერცვლა, ჩამოცვენა და ბათქაშის დეფორმაცია.

იმავე ტიპის დაზიანებებია წმინდა გიორგის ეკლესიაშიც, სადაც ასევე სხვადასხვა ადგილას შეინიშნება ვარდისფერი ნაფიფქი, გამომარილება, ფერწერული ფენის ცვენა და გაძლიერებული ნესტის ლაქები. აშკარაა, რომ დროებითი გადახურვა ლურჯი ტენტით ვერ ქმნის ძლიერი ნალექის დროს სახურავის წყალგაუმტარობის პირობას. ორივე ნაგებობისთვის, როგორც ღვთისმშობლის მიძინების, ისე წმინდა გიორგის ტაძრისთვის, სასწრაფოდ უნდა მოეწყოს მყარი და ხარისხიანი დროებითი გადახურვა, ამის შემდგომ კი განხორციელდეს თითოეული მათგანის მდგომარეობის დეტალური დიაგნოსტიკა, განხორციელებული სამუშაოების ყველა ეტაპის შეფასება და სამომავლო სამუშაოების დაგეგმვა და ეტაპობრივი განხორციელება სათანადო კვალიფიკაციის მქონე საერთაშორისო ჯგუფის მიერ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. შვეიცარიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ჩინური ფინიკი; 3. ცნობილი ამერიკელი პედიატრი; 5. ფულის ერთეული ავღანეთში; 6. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება; 9. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 10. ქუთაისის აეროპორტი; 11. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 14. არაბეთის ზღვისპირა კურორტი ინდოეთში; 16. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 18. სკანდინავიური ლეგენდა-თქმულება.

თარაზულად: 1. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 4. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. ცნობილი არგენტინელი ავტომრბოლელი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი; 8. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 12. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 13. დაზვერვის თანამშრომელი; 15. თაფლიანი ფიჭა; 17. ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტურა; 19. ტკივილიანი მწვავე შეტევა გულის არეში; 20. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 21. მფრინავი ცხოველი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა